ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ივანე მჭედლიშვილი

მასობრივი კომუნიკაცია და მედიის კვლევები

პერსონალური მონაცემების დაცვა ქართულ ტელემედიაში

ნაშრომი შესრულებულია მასობრივი აკომუნიკაციის და მედიის
კვლევების აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: მაია ტორაძე
ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2019

ანოტაცია

კვლევის მიზანია, გავიგოთ, რამდენად იცავს ქართული ტელემედია ადამიანის პერსონალურ მონაცემებს. შეესაბამება თუ არა პირადი ინფორმაციის გაშუქება საერთაშორისო სტანდარტებს, რა სახის დარღვევებს ვხვდებით და რამდენად დიდი ზიანი შეიძლება ჰქონდეს მას.

ინტერნეტისა და სოციალური ქსელების ეპოქაში პირადი ინფორმაციის დაცვა საკმაოდ რთულია. ახლა ყველა ადამიანს აქვს საშუალება შეითავსოს ჟურნალისტის პროფესია და თუნდაც მობილურიდან ლაივის ჩართვით მიაწოდოს აუდიტორიას ინფორმაცია. აქედან გამომდინარე, პერსონალური ინფორმაციის ბოლომდე დაცვა ძალიან ძნელია. თუ კარგად გავეცნობით პეროსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტებს, ვნახავთ, რომ ქართულ მედიაში ყოველდღიურად უამრავი ადამიანის უფლება ირღვევა ამ მხრივ.

იმის გათვალისწინებით, რომ ახალი ამბების გადმოცემა პირდაპირ ეთერში ხდება, რთულია ყველა სტანდარტის დაცვა. აქედან გამომდინარე, საკვლევად ავირჩიე საქართველოში ორი ყველაზე რეიტინგული არხის („რუსთავი 2“ და ტელეკომპანია „იმედი“) კვირის შემაჯამებელი გადაცემები: „P.S” და „იმედის კვირა“. ამ გადაცემის წამყვანები მთლიანი კვირის განმავლობაში განვითარებულ მოვლენებზე გვაწვდიან ინფორმაციას, შესაბამისად, მათ აქვთ საშუალება, უზრუნველყონ პერსონალური მონაცემების ყველა სტანდარტის დაცვა. საკითხის შესასწავლად გამოვიყენე კონტენტ-ანალიზის მეთოდი.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე გამოიკვეთა კითხვები:

- ირღვევა თუ არა პერსონალური მონაცემების გაშუქების სტანდარტები ქართულ ტელემედიაში?
- რა ფორმით ირღვევა პერსონალური მონაცემების გაშუქების სტანდარტები ქართულ ტელემედიაში?

სამთვიან პერიოდში სულ შევისწავლე 24 გადაცემა, ყველა მათგანში აღმოჩნდა პირადი ინფორმაციის გავრცელების სტანდარტის დარღვევა, რაც გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ პერსონალური მონაცემების დაცვა ქართულ ტელემედიაში პრიორიტეტს არ წარმოადგენს.

Annotation

The goal of this research is to understand how the Georgian Tele-Media protects personal data. Whether the distribution of personal information is in compliance with international standards, what types of violations are there and how damaging they can be.

Protection of personal data is quite difficult in the era of internet and social media. Nowadays, everyone has an opportunity to have a profession of a journalist and deliver the information to the audience even by starting a Live broadcast from phone. Therefore, it is unrealistic to demand a full personal data protection. If we familiarize ourselves well enough to the standards of personal data protection, we will see that human rights are violated by Georgian media every day, in this respect.

Taking into consideration that the news is broadcasted in live, it is difficult to protect all standards. Hence, I chose the Weekly Summary Shows of the two top-rated channels ("Rustavi 2" and TV company "Imedi"): "P.S" and "Imedi Week". The hosts of these shows provide us information on the event developments throughout the whole week, therefore, they have the opportunity to maintain all personal data protection standards. I have used content analysis method to study the issue.

Due to the goals of the research, the following questions have arisen:

- Are the personal data broadcasting standards violated in Georgian Tele-Media?
- How are the personal data broadcasting standards violated in Georgian Tele-Media?

The study revealed that the personal data protection standards are violated actively in the Weekly Summary Shows. I studied 24 shows within three months, all of them showed the violation of the personal data distribution. Which allows us to say that the personal data protection is not a priority in Georgian Tele-Media .

სარჩევი

შესავალი 6

1.ლიტერატურის მიმოხილვა 13

1.1 პერსონალური მონაცემების მნიშვნელობა 13

1.2 პერსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობა 15

1.3 პერსონალუი მონაცემების დაცვა თანამედროვე ეპოქაში 15

1.4 მედია და პესონალური მონაცემები 17

2. ემპირიული ნაწილი 20

დასკვნა 43

რეკომენდაციები: 45

გამოყენებული ლიტერატურა 46

შესავალი

მედია ქმნის საზოგადოების ცნობიერებაში ადამიანისა და კონკრეტული მოვლენის მიმართ დამოკიდებულებას. დადებითი ან უარყოფითი განწყობის მოპოვება სწორედ, მედიაში გაშუქებული ინფორმაციის საფუძველზე ხდება.

მედია ერთი მხრივ უკვე სასამართლოდაც კი ჩამოყალიბდა, რადგან მის მიერ გამოტანილი განაჩენი, შესაძლოა უფრო მძიმე იყოს ადამიანისთვის, ვიდრე უშუალოდ მოსამართლის გადაწყვეტილება. ადამიანის სახე, რომელსაც მედია ქმნის სამუდამოდ ამახსოვრდება საზოგადოებას. თუნდაც მაგდა პაპიძის გახმაურებულის საქმე, რომ გავიხსენოთ, მედიამ ბრალდებულს სასამართლოზე გაცილებით ადრე გამოუტანა განაჩენი, სულ რომ მოსამართლეს დარბაზიდანვე გაეთავისუფლებინა მაგდა პაპიძე, ის საზოგადოებისთვის მაინც ქმრისა და შვილის მკვლელი იქნებოდა მთელი ცხოვრება.

მედიას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება მაშინ, როცა პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაშუქება უწევს. ამგვარი თემების გაშუქებისას აუცილებელია პერსონალური მონაცემების სტანდარტების დაცვა, რადგან მედიაში გაჟღერებულმა ინფორმაციამ, ტელეეთერით გადაცემულმა კადრმა, შესაძლოა, ადამიანის დისკრიმინაციას შეუწყოს ხელი, წაახალისოს სტერეოტიპული განწყობა და კონკრეტული პიროვნების მიმართ საზოგადოებას აგრესიული დამოკიდებულება გაუჩნდეს. პერსონალურ ინფორმაციასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას მნიშვნელოვანია, მთელი სიზუსტით იყოს დაცული ტერმინოლოგიის გამოყენება.

ქართულ მედიაში არც თუ იშვიათად ირღვევა პერსონალურ მონაცემებთან დაკაშირებული სტანდარტები, ინფორმაციის გავრცელებისას ნაკლები ყურადღება ეთმობა პერსონალური მონაცემების დაცვას, თანამედროვე ქართულ მედიაში აღნიშნული სტანდარტის დარღვევის არაერთი შემთხვევა არსებობს, რასაც სერიოზული მორალური ზიანი მიუყენებია კონკრეტული პიროვნებისთვის.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, გამოიკვლიოს ქართულ მედიაში პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტები, რამდენად არის დაცული ქართულ მედიაში პერსონალური მონაცემები და რა გარანტიები არსებობს საზოგადოებითვის.

თემის აქტუალობა

პირადი მონაცემების დაცვა მნიშვნელოვანია ნებისმიერი ადამიანისთვის. ის რაც კონკრეტული პიროვნების იდენტიფიკაციის საშუალებას წარმოადგენს: პირადი ნომერი, მისამართი, დაბადების თარიღი, პირადი კოორდინატები და ყველაფერი, რითაც შესაძლებელია, უცხო ადამიანმა მოახდინოს პიროვნების იდენტიფიკაცია, მნიშვნელოვანია, იყოს დაცული, რადგან მოქალაქე არ გახდეს მსხვერპლი.

თანამედროვე ქართულ მედიაში ხშრად შუქდება კრიმინალური ფაქტები, თუ სხვადასხვა კანონდარღვევა. ასეთი ინფორმაციის გაშუქებისას მნიშვნელოვანია პირადი მონაცემების დაცვა. მაგალითად, როცა ამბავში გადმოცემულია ძარცვის ან ყაჩაღობის, ქრთამის აღების, ძალადობის, ქონების უკანონოდ მითვისების შესახებ, ბრალდებულების პირადი ინფორმაცია ხელმისაწვდომია აუდიტორიისთვის, ვკითხულობთ მის სახელსა და გვარს, დაბადების თარიღს, ტელეეკრანზე კი ბრალდებულს გვიჩვენებენ დაფარვის გარეშე, გარდა მონაცემების გაშუქებისა, არის შემთხვევები, როცა ბრალდებულს დამნაშავეს უწოდებენ ან კონტექსტიდან გამომდინარე დამნაშავედ წარმოაჩენენ და თან გვიჩვენებენ სასამართლოს წინაშე წარმდგარს, რაც მაყურებელთა ქვეცნობიერში აღძრავს აზრს, რომ ბრალდებული დამნაშავეა.

საქართველოში ხშირია სისხლის სამართლის გახმაურებული საქმეები, რომელშიც ბრალდებული საჯარო განხილვის თემა ხდება. ირღვევა თუ არა ბრალდებულის პერსონალური მონაცემები, როცა მის შესახებ საზოგადოებას ინფორმაციას ვაწვდით, ვუყვებით მისი სამუშაო ადგილის, საცხოვრებლის, ოჯახისა და ყველა იმ მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ, რაც მის ცხოვრებაში ხდება. ირღვევა თუ არა ადამიანის უფლებები, როცა დაუფარავად ვუჩვენებთ ბრალდებულს, რიგ შემთხვევებში დაუფარავად არის ნაჩვენები არასრულწლოვანი ბრალდებულიც.

ბოლო დროის ყველაზე გახმაურებულ საქმეებს თუ გადავხედავთ, არც ერთ მედიასაშუალებას არ უფიქრია, რომ საკუთარი შვილისა და ქმრის მკვლელობაში ბრალდებული მაგდა პაპიძის უფლება დაირღვა, როცა მისი იდენტიფიკაცია მოხდა, ეს

ადამიანი საზოგადოების აგრესიის მსხვერპლი ჯერ კიდევ განაჩენის გამოტანამდე გახდა.

ხორავას ქუჩაზე მომხდარი საზარელი მკვლელობის საქმის დროს არასრულწლოვანი ბრალდებულის პოლიციაში მისვლა პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. ტელეკომპანია "რუსთავი 2-ზე" ბრალდებულის სახე დაუფარავად იყო ნაჩვენები, აღნიშნულ შემთხვევაში საქმის მონაწილეთა მიმართ საზოგადოებას განსაკუთრებული აგრესია ჰქონდა, არასრულწლოვანის დაკავების კადრებმა, კი სრულიად სოციალური ქსელი მოიცვა, ყველასთვის ცნობილი გახდა ბრალდებულის, საზოგადოებისთვის კი დამნაშავის სახე.

კონკრეტულ შემთხვევებში დაზარალებულის ოჯახის უფლებებიც ირღვევა, კვლავ ხორავას ქუჩის შემთხვევა რომ განვიხილოთ, გარდაცვლილი ახალგაზრდა ბიჭის მამის განცდები გადმოცემული იყო დაუფარავად, ტელეკომპანია ,,რუსთავი 2"-მა მაყურებელს შესთავაზა სიუჟეტი, რომელშიც ნაჩვენები იყო სასოწარკვეთილი მამის ემოცია შვილის გარდაცვალების შემდეგ. გასაგებია, ეს პიროვნება არის დაზარალებული, თუმცა ეს არ იძლევა საშუალებას საზოგადოებაში მოხდეს შვილმკვდარი მამის იდენტიფიკაცია.

გარდა კრიმინალური შემთხვევებისა მედია ფორს-მაჟორული სიტუაციის დროსაც უამრავ შეცდომას პერსონალური ინფორმაციის გავრცელების მხრივ. მაგალითად შეგვიძლია, ავიღოთ დიღომში გაზის გაჟონვის შედეგად აფეთქებული კორპუსის გაშუქება, რომლის დროსაც მეტწილა ნაჩვეები იყო დაზარალებული არასრულწლოვნების სახეები, როგორ სდით მას სისხლი. ეს შესაძლებელია, მომავალში მათთვის შეუქცევადი ზიანის მომტანი აღმოჩნდეს.

20 ივნისის აქციებზე განვითარებული მოვლენების გაშუქება მედიის მხრიდან, სავსე იყო პერსონალური მონაცემების გავრცელების სტანდარტების დარღვევით. ხშირად ჩანდა სპეცრაზმეთა და პოლიციელთა სახეები, რომლებიც უკვე დამნაშავეების კონტექსტში მოიხსენიებოდნენ ჟურნალისტების მიერ. ზოგიერთის სახელი და გვარიც დაადგინეს, მათი სახლები, ოჯახის წევრები და ნათესავები გვაჩვენეს, რაც მკაფიო დარღვევაა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების. ამ ყველაფერს შეიძლება,

მძიმე შედეგი მოჰყვეს და საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა თავად გადაწყვიტოს ,,სამართლის აღსრულება“, რაც პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს არა მარტო იმ სპეცრაზმელებისა და პოლიციელებისთვის, არამედ მათი ოჯახებისთვისაც.

პერსონალური მონაცემები ირღვევა ყოველდღიურად მაშინ, როცა საჯარო უწყებები ოფიციალურ კადრებს ავრცელებენ, გადასცემენ მედიას ინფორმაციას დაკავებულის ან ბრალდებულის შესახებ, სადაც მითითებულია მისამართი და დაბადების თარიღი. ზოგიერთ შემთხვევაში კი არა ინიციალები არამედ სახელი და გვარი სრულად არის მოცემული. ამ სახის ინფორმაციას ხშირად ავრცელებს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, მათ მიერ გამოქვეყნებულ ტექსტებში, რომელიც უცვლელად გადაიცემა სხვადასხვა მედიასაშუალებით, პირდაპირ არის აღნიშნული, ბრალდებულის, დაკავებულის ან პასუხისგებაში მიცემულის სახელი, გვარი, თანამდებობა და ა.შ.

საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მონაცემებით, 2016 წლის განმავლობაში მიღებული განცხადებებისა და ინსპექტირების შედეგად შეისწავლეს მონაცემთა დამუშავება როგორც საჯარო, ასევე კერძო ორგანიზაციებში, მათგან 86 -ჯერ საჯარო დაწესებულებებში, ხოლო 245-ჯერ კერძო ორგანიზაციებში.

პრაქტიკულად 2-ჯერ გაიზარდა ფიზიკური პირების განცხადებებისა და ინსპექტირების რიცხობრივი მაჩვენებელი, გამოვლინდა სამართალდარღვევის 221 ფაქტი, 63 ორგანიზაციას დაეკისრა ჯარიმა, 35 ორგანიზაციას მიეცა გაფრთხილება, მონაცემთა დაცვის უზრუნველსაყოფად გაიცა 202 მითითება და რეკომენდაცია.

პერსონალური მონაცემების დაცვა მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. თანამედროვე ეპოქაში. ტექნოლოგიური სიახლეების ფონზე, სოციალური ქსელების ეპოქაში, რთულია პირადი ინფორმაციის დაცვა.

აღნიშნული შემთხვევები და სტატისტიკა ცხადყოფს, რომ პერსონალური მონაცემები ხშირად ირღვევა ქართულ მედიასივრცეში, მნიშვნელოვანია ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება.

საკვლევი კითხვები:

- ირღვევა თუ არა პერსონალური მონაცემების გაშუქების სტანდარტები ქართულ ტელემედიაში?
- რა ფორმით ირღვევა პერსონალური მონაცემები გაშუქების სტანდარტები ქართულ ტელემედიაში?

ჰიპოთეზა:

ქართულ ტელემედიაში მეტწილად არ ხდება პირადი ინფორმაციის დაცვა, ხშირად ირღვევა პერსონალური მონაცემები.

კვლევის მეთოდი

ჩატარებული კვლევის მეთოდოლოგია იქნება ქართულ მედიაში პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტების კონტენტ-ანალიზი.

სამოქალაქო განათლების ლექსიკონის განმარტების თანახმად, „კონტენტ-ანალიზი წარმოადგენს რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდს, რომელიც დაკავშირებულია მედიის შინაარსის (ინფორმაციის) შესწავლასთან, როდესაც ხდება მისი კლასიფიკაცია ფორმალიზებული პრინციპით. კონტენტ-ანალიზის ობიექტი შეიძლება გახდეს გაზეთების, საჯარო გამოსვლების, ტელე და რადიოგადაცემების, ოფიციალური და პირადი დოკუმენტების, ინტერვიუების, ანკეტის ღია კითხვებზე პასუხების და ა.შ.“

მიქელსონის და გრიფინის მიხედვით, მნიშვნელოვანია, გავიაზროთ კონტენტ-ანალიზის რვა სხვადასხვა მიდგომა, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია პრაქტიკაში. ესენია: კლიპინგი, ტირაჟის და მკითხველის ანალიზი, რეკლამის ღირებულების ექვივალენტურობა, მარტივი კონტენტ-ანალიზი, მესიჯების ანალიზი, ტონალობის ანალიზი, მნიშვნელობის ანალიზი, გაშუქების ხარისხი. (დევიდ მიქელსონი და ტონი ლ. გრიფინი, 2005)

კონტენტ-ანალიზი, როგორც სპეციფიკური საკვლევი მეთოდი და ტექნიკა, ხშირად გამოიყენება კომუნიკაციის კვლევის სფეროში. მეთოდის პოპულარულობა აიხსნება

იმით, რომ მისი მეშვეობით მიღებული შედეგები ვალიდური (მყარი/სანდო) და ეფექტურია კომუნიკაციის პროდუქტების შინაარსის კვლევისთვის.

უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, კონტენტ-ანალიზი წარმოადგენს მედიური და კომუნიკაციური დისკურსის შემადგენელი ცალკეული, ვერბალური თუ არავერბალური, განსაზღვრული შინაარსის მქონე სტიმულების რაოდენობრივ და თვისებრივ ანალიზს: მათი გამოყენების სიხშირესა და გამოყენების კონტექსტს.

კონტენტ-ანალიზს მრავალი განსაზღვრება აქვს. უოლიცერი და ვინირი (Walizer and Wienir, 1978) მას განსაზღვრავენ როგორც სისტემატიზებულ პროცედურას ჩაწერილი ინფორმაციის შინაარსის გასაანალიზებლად. 2000 წელს კერლინგერმა (Kerlinger) ყველაზე ტევადი განსაზღვრება შესთავაზა კოლეგებს: კონტენტ-ანალიზი არის კომუნიკაციის სისტემატიზებულად, ობიექტურად და რაოდენორივად შესწავლისა და ანალიზის მეთოდი ცვლადების გაზომვის მიზნით. 2004 წელს კრიპენდორფის (Krippendorf) მიერ შეთავაზებული განსაზღვრების მიხედვით, კონტენტ-ანალიზი წარმოადგენს საკვლევ ტექნიკას მონაცემებსა და მათ კონტექსტს შორის მყარი მიმართებების დასადგენად.

კერლინგერის განსაზღვრება მოიცავს სამ ცნებას, რომლებიც დამატებით განმარტებას საჭიროებენ.

პირველი: კონტენტ-ანალიზი სისტემატიზებულია. ეს ნიშნავს, რომ გასაანალიზებელი შინაარსი ირჩევა დადგენილი წესების მიხედვით; ნიმუშების შერჩევა ექვემდებარება დადგენილ პროცედურებს და თითოეულ ნიმუშს სხვათა თანაბარი შანსი აქვს, ანალიზში იყოს ჩართული. უფრო მეტიც, საკუთრივ შეფასების პროცესიც სისტემატიზებული უნდა იყოს. თითოეული ნიმუში გაანალიზებული იქნება ერთი მეთოდითა და ერთი მიდგომით. სისტემატიზებული შეფასება ნიშნავს იმას, რომ მთელი კვლევისთვის, თითოეული ნიმუშისთვის მხოლოდ და მხოლოდ ერთი ინსტრუქცია იქნება გამოყენებული. სხვა პროცედურების გამოყენება ანალიზში შედეგების გაღრმავებას მოემსახურება.

მეორე: კონტენტ-ანალიზი ობიექტურია, რაც ნიშნავს იმას, რომ კვლევის მიგნებები არ ასახავს მკვლევრის პირად იდიოსინკრაზიებსა და მიკერძოებულობას. ანალიზმა იგივე შედეგები უნდა აჩვენოს მაშინაც კი, როცა კვლევას სხვა მკვლევარი ჩაატარებს.

მესამე: კონტენტ-ანალიზი რაოდენობრივია. კონტენტ-ანალიზის მიზანია, ტექსტში მოცემული შეტყობინებების ზუსტი რეპრეზენტაცია. რაოდენობრიობა კი ძალიან მნიშვნელოვანია ამ ამოცანის შესასრულებლად, რადგან იგი მკვლევრებს სიზუსტის ძიებაში ეხმარება. გარდა ამისა, რაოდენობრიობა მკვლევრებს შედეგების ზუსტად წარმოჩენისა და შეჯამების შესაძლელობას აძლევს, რაც რაოდენობრივი სტატისტიკური პროცედურების მეშვეობით მიიღწევა.

კვლევა მოიცავს ერთწლიან პერიოდს. საწყის ეტაპზე მოხდება იმ კონკრეტული მედიასაშუალებების გამოყოფა, სადაც ირღვევა პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტები. იქნება ჩვენთვის საინტერესო საკითხი - პერსონალური მონაცემების დაცვა. ამის შემდეგ გამოიკვეთება ამ მედიასაშუალებებში რა ფორმით ხდება პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება. მოხდება ცალკეული გზავნილების გამოკვეთა, რომელთაც ეს მედიასაშუალებები ავითარებდნენ, მათი განმეორების სიხშირე, მცდარი ინფორმაცია, რომელიც ცალმხრივად, ან თავისუფალი ინტერპრეტაციით, ალტერნატიული მოსაზრებების გარეშე იყო წარმოდგენილი, პროფესიული სტანდარტების დარღვევა.

ასევე მოხდება გაანალიზება/შეფასება შემდეგი კომპონენტების: სათაურები, ფოტოების განლაგება, ვიდეოსიუჟეტებში ნაჩვნები კადრები, კონტექსტი, ტერმილონოგია და სხვა. ჩამოყალიბდება ძირითადი ინდიკატორები იმის განსასაზღვრად, თუ რა ითვლება პერსონალური მონაცემების დაცვის დარღვევად.

1.ლიტერატურის მიმოხილვა

1.1 პერსონალური მონაცემების მნიშვნელობა

პერსონალურ მონაცემებს და მათ დაცვას უზრუვნელვყოფს „საქართველოს კანონი პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“.

მუხლი1. კანონის მიზანი:

ამ კანონის მიზანია, პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა.რ მონაცემთა დაცვის შესახებ“.

ასევე კანონი განმარტავს, რა არის პერსონალური მონაცემი.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ა) პერსონალური მონაცემი – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებე ლი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით ;

ბ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი – მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიულ კავშირში გაწევრებასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან, აგრეთვე ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები, რომლებიც ზემოაღნიშნული ნიშნებით ფიზიკური პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა;

ამავე კანონში არის განსაზღვრული თუ რა ითვლება მონაცემთა დამუშავებად.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

დ) მონაცემთა დამუშავება – ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება;

პერსონალური მონაცემები გულისხმობს, მონაცემთა პირად აქტს, რომელიც განისაზღვრება როგორც ინდივიდთან დაკავშირებული მონაცემები. პირადი მონაცემები არ არის მხოლოდ სახელი, გვარი ან ინდივიდუალური მისამართი. პირადი ინფორმაცია გულისხმობს სამედიცინო მომსახურების მონაცემებს, სურათს, ხმის ჩანაწერს, ფიზიკური, ფიზიოლოგიური და ქცევით მახასიათებლებს. მაგ. თითის ანაბეჭდი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, უნიკალური პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი, საგადასახადო ნომერი და ასეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციები, - ასე განმარტავს პერსონალური მონაცემების არსს სლოვენიელი მკვლევარი ლიდია კომან პერენიჩი (Lidija Koman Perenič) საკუთარ კვლევაში „პერსონალური მონაცემების დაცვა და ჟურნალისტიკა“.

პირადი მონაცემების დაცვა ხშირად აღწერილია, როგორც ერთ-ერთი ასპექტი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების; კერძოდ, ინდივიდუალური ინფორმაციის კონფიდენციალურობა. პერსონალური მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა მოიცავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს, აღნიშნული მუხლი ადამიანებს საშუალებას აძლევს, თავი შეიკავოს საკუთარი პერსონალური მონაცემების გადაცემისგან სხვა პირზე. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისთვის, პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონი 1950 წელს მომზადდა და ძალაში 1953 წელს შევიდა. ევროპის საბჭოს ინიციატივით ჩამოყალიბდა პრინციპები და ნორმები, პირადი მონაცემების დამუშავების უფლებები როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ სექტორში (ევროპის საბჭო, 2017; ევროპული

მონაცემთა დაცვის სახელმძღვანელო, 2005) მონაცემთა კონფიდენციალურობის დებულების ჩამოყალიბებაში მონაწილეობა მიიღო ამერიკის შეერთბულმა შტატებმაც. 1973 წელს პირადი მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპები ჩამოყალიბდა აშშ-ის მთავრობაში.

1.2 პერსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობა

თორბენ ბურჰარდი ჩატარებულ კვლევაში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, აღნიშნავს, რომ პერსონალური მონაცემების დაცვა არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება, არა მხოლოდ ევროკავშირის ქვეყანებში, არამედ სრულიად მსოფლიოში. ევროკავშირი რეგულარულად ახორციელებს პერსონალური მონაცემების დაცვის სხვადასხვა პროგრამას. მიუხედავად ამისა, ხშირია მედიის ანგარიშები მონაცემთა კონფიდენციალურობის დარღვევის შესახებ.

საერთაშორისო ორგანიზაციის ICO-ს (Information Commissioner's Office) კლევაში, ,,მონაცემების დაცვა და ჟურნალისიკა", აღიშნულია, რომ პერსონალური მონაცემების მასშტაბი ძალიან ფართოა. ეს ეხება პირადი მონაცემების დამუშავებას. ეს ნიშნავს, რომ ვინმეს, მათ შორის მედიას, უნდა აკმაყოფილებდეს ხალხის შესახებ მოპოვებული ინორმაცია. ინფორაცია შესაძლოა იყოს თანამდებობის პირეზე, რესპონდენტებზე, ახალ ამბებთან დაკავშიებულ პიროვნებებზე და ა.შ.

ამავე კვლევაში ნათქვამია, რომ პერსონალური მონაცემების დაცვა განსაზღვრავს უფლებებისა და მოვალეობების ჩარჩოებს, რომლებიც მიზნად ისახავს სხვისი ლეგიტიმური მოთხოვნილებების დაცვას. მედიაში პერსონალური მონაცემების გამოყენების დროს დაცული უნდა იყოს ბალანსი.

მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს, მედიას არ შეუძლია დააიგნოროს მონაცემთა დაცვის მთლიანობა, უნდა იცოდეს ძირითადი პრინციპები და შეასრულოს ისინი.

1.3 პერსონალუი მონაცემების დაცვა თანამედროვე ეპოქაში

Lidija Koman Perenič კვლევაში აღნიშნულია, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებმა, რომელიც მონაცემების ავტომატური დამუშავების საშუალებას იძლევა საფრთხე შეუქმნა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას; მართლაც, ეს უფლება

კონფიდენციალურობის შესახებ მონაცემებთან დაკავშირებით, თანამედროვე ეპოქაში გარკვეულწილად დაუცველია.

Thorben Burghardt, Klemens Bohm, Erik Buchmann1, Jurgen Kuhling, და Anastasios Sivridis-მა ჩაატარეს კვლევა, იმის შესახებ, თუ რამდენად არის დაცული პერსონალური მონაცემები გერმანიაში. კვლევამ უჩვენა, რომ მოქალაქეების უფლებები ამ მხრივ ყოველდღიურად ირღვევა. კვლევა გერმანიის სამართლის იმ პრინციპების შესაბამისად ჩატარდა, რომელიც პერსონალური მონაცემის დაცვას გულისხმობს.

მვლევარები ხაზგასმით აღნიშნავენ გერმანიის კანონმდებლობაში არსებულ ვალდებულებს, მიუხედავად ამისა მაინც ირღვევა პერსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობა.

გერმანაიში ჩატარებულ კვლევაში სუაბარია ონლაინ ინტერნეტ სერვისების მეშვეობით ადამიანების კონტროლზე. აღნიშნულია Google Analytics სისიტემა, რომელშიც ზუსტად აისახება თუ რამდენ გვერდს ეწვია მომხმარებელი და რა სახის ინფორმაციის მოპოვებას ცდილობა, კონკრეტულ საიტებზე შესვლა კი შუძლებელია რეგისტრაციის გარეშე, რეგისტრაციის შემთხვევაში აუცილებელია პირადი მონაცემების მითითება, ამ ხერხით ადამიანების შესახებ, მათი ინტერესებისა და თუ მისწრაფებების, სურვილებისა თუ პირადი შეხედულებების დადგენა მარტივია.

აღნიშნული კვლევით დადგინდა, რომ კონფიდენციალურობის პოლიტიკა ინტერნეტსივრცეში ნაკლებად არის დაცული, შედეგად, გერმანიაში ყველა პროვაიდერის 35% ითხოვს პირად ინფორმაციას. მკვლევარები სვამენ კითხვას, საერთოდ რა საჭიროა საკონტაქტო ფორმებისთვის მოთხოვნილი მონაცემები?

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ კვლევა არის საკითხის ინტერდისციპლინარული შესწავლა მონაცემთა დაცვის აღსრულების არარსებობის შესახებ, თუ რამდენად ხდება პერსონალური მონაცემების დაცვა ინერნეტში. განხილულია პროვაიდერების მოთხოვნები გერმანულ კანონმდებლობათან მიმართებაში, კანონმდებლობა რომელსაც აქვს დირექტივები მიღეული ევროკავშირიდან და ხელძღვანელობს ევროკავშირის სტანდარტებით. კვლევამ უჩენა, რომ კონფიდენციალურობის პოლიტიკის

უმრავლესობა გამოყენებულია უსაფუძვლოდ, პროვაიდერებს არ შეუძლიათ მომხმარებლის ინფორმაცია გამოიყენონ მათი თანხმობის გარეშე.

ინტერნეტის მიერ პერსონალური მონაცემების კონტროლზე საუბრობს კრისტინა ფრინსი, რომელმაც ინტერნეტში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეისწავლა თუ რამდენად შეიძლება დავიცვათ პერსონალური მონაცემები.

საფრანგეთში სოფელში მცხოვრებთა 22.80% ინტერნეტს პირადი მიზნებისთვის რამდენიმე საათის განმავლობაში მოიხმარს დღეში. დაახლოებით, გამოკითხულთა ნახევარმა (49.90%). განაცხადა, რომ დღეში 2 საათსა და 30 წუთს ხარჯავს იტერნეტში პირადი მიზნებისთვის, გამოკითხულთა 71.80%-ს აქვს Facebook ანგარიში, ხოლო უმრავლესობამ (83.60%) გამოხატა შეშფოთება კონფიდენციალური ინფორმაციის დაუცველობის გამო. კვლევა 2017 წელს ჩატარდა, რითაც დადგინდა, რომ ინეტნეტ სივრცეში პერსონალური მონაცემები არ არის დაცული, მოსახლეობის უმრავლესობა ინტერნეტში პირადი მიზნების გამოყენების დროს უთითებს პირად ინფორმაციას.

1.4 მედია და პესონალური მონაცემები

ICO-ს (Information Commissioner's Office) კლევაში მონაცემების დაცვა და ჟურნალისტიკა აღნიშნულია, რომ პირადი მონაცემების დაცვა სავალდებულოა ნებისმიერ დროს, როდესაც ვინმე აგროვებს, ინახავს, იყენებს ან გამოაქვს ინფორმაცია ადამიანზე. ეს არის პასუხისმგებლობა, რომლის დაცვა ჟურნალისტებსაც ევალებათ. ჟურნალისტები ყოველდღიურად აგროვებენ ინფორმაციას ამა თუ იმ ადამიანზე. მედია არ არის გათავისუფლებული პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულებისგან და ის მოვალეა უზრუნველყოს, პიროვნებების მონაცემთა დაცვის უფლებები.

პერსონალური მონაცემების დარღვევის შემთხვევაში, იურიდიული პასუხისმგებლობა, როგორც წესი, ეკისრება შესაბამის მედია ორგანიზაციას, ვიდრე ინდივიდუალურ თანამშრომლებს, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ჟუნალისტმა დამოუკიდებლად გადაწყვიტოს სიუჟეტში გასული ან ინფორმაციაში ასახული მონაცემების გაშვება, არ გაშვების ბედი.

მედია ორგანიზაციების თანამშრომლები ვალდებულნი არიან იცოდნენ თავიანთი პასუხისმგებლობები პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მათი ყოველდღიური დაცვაა აუცილებელი.

ICO-ს კვლევაში აღნიშნულია, რომ პერსონალური მონაცემების დაცვა ეფუძნება რამდენიმე საყოველთაო პრინციპს, რომელიც მოქნილია ყოველდღიურ ჟურნალისტურ პრაქტიკაზე პასუხისმგებლობით. მთავარია, ჟურნალისტმა სამართლიანად და პროპორციულად იმოქმედოს და თავიდან აიცილოს კონკრეტული პიროვნებისთვის ზიანის მიყენება.

- იყავი ღია და პატიოსანი, როცა ეს შესაძლებელია. ხალხმა უნდა იცოდეს, თუ მათ შესახებ აგროვებთ იფორმაციას. უნდა უთხრათ თუ ეს ინფორმაცია არ იქნება ზოგადი;

- ფარული მეთოდები გამოიყენეთ მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ დარწმუნებული ხართ, რომ ეს მიზანშეწონილია საზოგადოების ინტერესიდან გამომდინარე;

- ინფორმაციის შეგროვება ვინმეს ჯანმრთელობის, სქესობრივი ცხოვრების ან დანაშაულებრივი ქცევის შესახებ, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ დარწმუნებული ხართ, რომ ეს არის საზოგადოების ინტერესის შესაბამისი, თუმცა ამ შემთხვევაში აუცილებელია კონფიდნციალურობის დაცვა.

Lidija Koman Perenič კვლევაში ,,პერსონალური მონაცემების დაცვა და ჟურნალისტიკა“ აღნიშნავს, რომ პერსონალური მონაცემების გამოქვეყნება მედიაში, შეიძლება წარმოადგენდეს მონაცემების პერსონალურ მონაცემთა დაცვის დარღვევას. თუ მედია აქვეყნებს პერსონალურ მონაცემებს, რომელიც შესულია მისთვის მიწოდებულ ინფორმაციაში ან არ აქვს ინდივიდის თანხმობა ამ შემთხვევაში ეს წარმოადგენს პერსონალური მონაცმების დარღვევას.

მედიაში თუ ხდება მხოლოდ გარკვეული ინფორმაციის გამოქვეყნება, რომელიც ადასტურებს ფაქტებს და არ შეიცავს პირად მონაცემებს, მაშინ ეს არ ჩაითვლება დარღვევად.

Lidija Koman Perenič კვლევა ეფუძლება სლოვენიაში არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით პერსონალური მონაცემების დაცვას, იმ შემთხვევაში თუ პიროვნება მიიჩნევს, რომ მისი პერსონალური მონაცემების დარღვევა მოხდა მედიაში, მას შეუძლია, პირადი მონაცემების ბოროტად გამოყენებისთვის განაცხადის წარდგენა. განაცხადის წარდგენა შეასძლებელია ონლაინ, საინფორმაციო კომისრის ვებსაიტზე. განცხადება პირადი მონაცემების არასწორად გამოყენების შესახებ, საჭიროებს სავარაუდო დარღვევის გარემოებების ზუსტ განმარტებას და ასევე უნდა ერთვოდეს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს, რომ მისი პერსონალური მონაცემები დაირღვა.

ბარანი და დევისი 2009 წელს ჩატარებულ კვლევაში ახალი ამბების გამეორებაზე საუბრობენ, ახალი ამბების ან სიუჟეტის მუდმივი გამეორება მკითხველს უფრო მეტ ინფორმაციას აძლევს, შესაბამისად პერსონალური მონაცემების თუნდაც სულ უმნიშვნელო დარღვევა, მრავალჯერ გამეორებულ სიუჟეტში კიდევ უფრო დიდ ზიანს აყენებს ადამიანს, რომლის პირადი მონაცემებიც ასახულია ამ სიუჟეტში.

Hui Na Chua a, Siew FanWong a, Younghoon Chang , Christian Fernando Libaque-Saenz საკუთარ კვლევაში აღნიშნავენ, რომ ახალი ამბების გამეორება და დამატებითი ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საჯარო ცოდნას. ამიტომ, თუ ახალ ამბებში პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაცია კანონის დაცვით არის მიწოდებული, საზოგადოება იღებს სასურველ ინფორმაცია და ამავდროულად არ ილახება სხვა ადამიანის უფლებები.

2. ემპირიული ნაწილი

მასმედია ეს არის საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიმწოდებელი მთავარი წყარო. მართალია დღესდღეობით ტელევიზია არ არის ერთადერთი საინფორმაციო საშუალება საზოგადოებისთვის, მაგრამ მას იყენებს მოსახლეობის თითქმის 90%. აღნიშნულში შედის ყველა ასაკის საზოგადოება. ინფორმაციის მიწოდებისას მასმედია ხშირად სცდება საკუთარ კომპეტენციას და შესაძლოა არღვევს კიდეც პიროვნების პერსონალურ მონაცემებს. იმისთვის რომ რაიმეს დამტკიცება შევძლოთ აუცილებელია არგუმენტები და რაც მტავარია ფაქტები. ჰიპოთეზის დასამტკიცებლად, რომ ტელევიზია ნამდვილად არღვევს პირის პერსონალურ მონაცემებს ქვემოთ მოცემული იქნება ქართულ რეალობაში 2 ყველაზე რეიტინგული არხის, ,,რუსთავი 2-ის“ და ტელეკომპანია ,,იმედის“, კვირის შემაჯამებელ გადაცემებში(P.S და იმედის კვირა) გასული სიუჟეტების კონტენტ-ანალიზი. კონკრეტულად ის ფაქტები, რომლებშიც იკვეთება პერსონალური მონაცემების დარღვევა.

რუსთავი 2

7აპრილიდან 30 ივნისის პერიოდში „რუსთავი 2“-ის გადაცემაში „პოსტ-სკიპტუმი“ რომლის დანიშნულება არის ის, რომ საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია კვირის განმავლობაში მომხდარ ამბებზე, რომელიც ხდება ქვეყნის შიგნით და ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. აღნიშნული გადაცემა ისევე, როგორც ყველა ჟურნალისტური სიუჟეტი უნდა იყოს ობიექტური, მიუკერძოებელი რათა საზოგადოებას არ შეუქმნას ყალბი წარმოდგენა მომხდარის შესახებ. აღნიშნულ გადაცემაში სიუჟეტების სიმრავლეა და ისინი შინაარსით დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, განხილულია ქვეყნის პოლიტიკური თუ ეკონომიკური მდგომარეობა, სპორტი და კულტურა, მწვავე და აქტუალური საკითხები, გადაცემაში შეგვიძლია მოვიძიოთ სიუჟეტები რომლებიც თითქმის ყველა თემას ეხება.

,,პოსტ-სკრუპტუმის“ 7 აპრილის გადაცემის პირველი სიუჟეტი არის დიღომში დიდი აფეთქების შესახებ, როდესაც გაზმა გაჟონა და დაზარალდა არა ერთი ოჯახი, არამედ კორპუსის ერთი ნაწილი მთლიანად დაზიანდა. აღნიშნულ რეპორტაჟში მწვავედ არის

დაყენებული ის საკითხი, რომ მეზობლებმა გაზის სუნი დილითვე იგრძნეს და მათ განაცხადეს სპეციალურ სამსახურში, რათა მოსულიყვნენ ტერიტორიაზე და შეემოწმებინათ იგი. 9:34 წუთზე გამოქვეყნებულია საბუთი, რომელიც ადასტურებს იმას, რომ 114 ში ზარი მეზობლის მიერ აფეთქებამდე 20 წუთით ადრე არის განხორციელებული. აღნიშნულ საბუთში არ არის დაფარული მეზობლის ვინაობა და არც იმ ოპერატორის ვინაობა, ვინც უპასუხა აღნიშნულ ზარს. ამასთანავე ამავე სიუჟეტში 9:10-9:23მდე კადრში ჩანს არასრულწლოვანი ბავშვები, რომელთა იდენტიფიცირებაც თავისუფლად არის შესაძლებელი.

ანალოგიური დარღვევაა შემდეგ სიუჟეტში, რომელიც არის იმ დროისთვის მერობის კანდიდატზე სამეგრელოში, როგორც ცნობილია სანდრა რულოვსი მერობის არჩევნების დროს იყრიდა კენჭს სამეგრელოში. აღნიშნული სიუჟეტი ერთგვარ რეკლამად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომელიც აპიარებს ქალბატონი რულოვსის დამსახურებებს და მოგვითხრობს იმაზე თუ რატომ უნდა აირჩიოს სამეგრელოს მოსახლეობამ ის მერად. დარღვევა კი როგორც აღვნიშნეთ არის წინა სიუჟეტის ანალოგიური 23:59 წუთზე ჩანს არასრულწლოვანი ბავშვის სახე, და 10 წამში მეორდება იგივე კადრი. ამავე სიუჟეტში ნაჩვენებია პოლიციის მანქანა, რომლის სამანქანე ნომრებიც არ არის დაფარული. არასრულწლოვანი ბავშვის სახე ასევე დაუფარავია შემდეგ ეპიზოდში, სადაც საუბარია პარაოლიმპიელის შესახებ, და იგი მოხსენიებულია პოლიტიკურ დევნილად, როდესაც არ არსებობს აღნიშნულის საფუძველი.

,,პოსტ-სკიპტუმის შემდეგი“ გადაცემა, რომელიც ეთერში 14 აპრილს გავიდა იწყება ყველასთვის ცნობილი პოლიტიკური პარტიის „ქარილი ოცნების“ თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუს განხილვით. შემდეგი სიუჟეტი გრძელდება ისევ აღნიშნულ პირზე და გამოკითხულია აბასთუმანში მცხოვრები მოსახლეობა, სიუჟეტის ბოლოს კითხვაზე პასუხის გაცემამდე პირი ითხოვს, რომ დაფარული იყოს მისი ვინაობა და კამერის გაწევის შემთხვევაში იგი უპასუხებს შეკითხვას, მართალია, იმ მომენტში კამერა ნამდვილად გამორთეს, მაგრამ მთელი სიუჟეტის განმავლობაში მისი სახე არ არის დამალული, ტიტრით კი ცნობილს ხდიან მის სახელს და გვარს.

შემდეგი სიუჟეტი ისევ ეხება იმ დროისთვის სამეგრელოში მერობის კანდიდატს სანდრა რულოვს, მოთხრობილია ის, რომ სამეგრელოში ყოფნის დროს მის მომხრეებს და ქართული ოცნების წარმომადგენლებს მოუვიდათ ხელჩართული ბრძოლა, ნაჩვენებია აღნიშნული კამათის კადრები, კადრში ნათლად ჩანს, რომ პირებს არ სურთ მათი ვინაობის გამჟღავნება და ჟურნალისტებს მოუწოდებენ კამერის გამორტვისკენ. აღნიშნულ კამათში ჩართულები არიან სამართალდამცავებიც, თუმცა არცერთი პირის ვინაობა არ არის დამალული და თითოეულის იდენტიფიცირება თავისუფლად შეიძლება. ამასთან ერთად აღნიშნულ კამათში ჩანს არასრულწლოვანი პირის სახეც. აღნიშნულ სიუჟეტშივე დასახელებულია ვინმე გ.გ. რომლის სრული სახელი და გვარი რამდენჯერმე გაიმეორეს, იგი მოიხსენიება, როგორც კრიმინალი, ვინაიდან იგი არის ნასამართლევი, დასახელებულია ისიც თუ რისთვის არის ნასამართლევი აღნიშნული პირი. ასევე გამოქვეყნებულია 2 ადამიანის პირადი სატელეფონო მიმოწერა, მიმოწერას დართული აქვს ორივე პირის სრული სახელი და გვარი და ფოტოსურათები.

შემდეგი სიუჟეტი გადაღებულია მუხრანის ნომერ 1 საჯარო სკოლაში. აღნიშნულ სიუჟეტში დაუფარავად არის ნაჩვენები სკოლის მოსწავლეების სახეები, და ასევე არის ორი ინტერვიუ არასრულწლოვანთან, მაგრამ არსად არ არის ნაჩვენები აღნიშნულ ინტევიუებზე მშობლების თანხმობა.

,,პოსტ-სკიპტუმის“ 21 აპრილის გადაცემა, საკმაოდ მწვავე თემით იწყება, სიუჟეტი მიმდინარეობს პანკისის ხეობაში მომხდარზე. საზოგადოებისთვის ცნობილი ფაქტია, რომ პანკისის მოსახლეობა აპროტესტებდა მათ ტერიტორიაზე მორიგი ჰესის მშენებლობას, რა დროსაც მოხდა დაპირისპირება სამართალდამცავ ორგანოსა და მოსახლეობას შორის, სამართალდამცავებმა გამოიყენეს რეზინის ტყვიები, ცრემლსადენი გაზი და ხელკეტები მოსახლეობამ კი საპასუხოდ მათ ჯოხები და ქვები დაუშინეს. დაზარალებულთა რიგებში იყვნენ როგორც, მაცხოვრებლები ისე სამართალდამცავები. შეტაკების კადრები მკაფიოა და შესაძლებელია ნებისმიერი სამართალდამცავი პირის იდენტიფიცირება. შემდეგ კადრი გადადის სამედიცინო დაწესებულების, ემერჯენსის შესასვლელთან, სადაც მიდიან დაზარალებული სამართალდამცავები, მათი სახეები არ არის დაფარული, მხოლოდ ერთ სამართალდამცავს თავადვე აქვს საკუთარი ქურთუკი სახეზე აფარებული, რათა ვერ

მოხდეს მისი იდენტიფიცირება, რეალურად ამაზე უნდა ზრუნავდეს თვითონ ტელევიზია და პირს არ უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ მისი ვინაობა მისი სურვილის საწინააღმდეგოდ იქნება გამჟღავნებული.

1:18:32 წუთზე ნაჩვენებია არასრულწლოვანი პირის სახე, რეპორტაჟი მოვითრობს ოჯახის გაჭირვების შესახებ, და ღიად არის საუბარი არასრულწლოვანი პირის ფიზიკური დავაადებების შესახებ.

28 აპრილს ,,პოსტ-სკიპტუმის" გადაცემა იწყება დავით გარეჯში მომხდარი ამბების მიმოხილვით. როგორც ცნობილია დავით გარეჯის მონასტერი ახლოს არის აზერბაიჯანის საზღვართან. პრობლემა შეეხება იმ ფაქტს, რომ აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა ქართველ მოსახლეობას შეუზღუდა დავით გარეჯის ტერიტორიაზე მოძრაობა, რეპორტაჟში 9:25 წუთზე ნათლად ჩანს აზერბაიჯანელი მესაზღვრეების სახეები, ისინი გამოწყობილი არიან სახელმწიფო ფორმაში და მათი იდენტიფიცირება თავისუფლად არის შესაძლებელი. სიუჟეტი გრძელდება 15:37 წუთზე ერთ-ერთი აზერბაიჯანელი მესაზღვრე პირდაპირ მიმართავს ჟურნალისტს და მოუწოდებს კამერის გათიშვისკენ იმ მიზეზით, რომ არ სურს მას ტელევიზიაში გამოჩენა, მიუხედავად ამისა ოპერატორი არც კამერას რთავს და არც კადრს ცვლის, შესაბამისად აღნიშნული მესაზღვრის იდენტიფიცირებაც მარტივია.

შემდეგი სიუჟეტი ეხება ირმა ტუღუშს, იგი ჟურნალისტის მიერ მოხსენიებულია, როგორც ორჯერ ნასამართლევი, არ არის დამალული არც ნასამართლეობის მიზეზი, აღნიშნული პირი ორივეჯერ თაღლითობისთვის არის დაკავებული. არც ის არის გასაიდუმლოებული, რომ იგი ორივეჯერ შეწყალების შედეგად იქნა ციხიდან გამოშვებული, ამასთან ერთად ნახსენებია, რომ მას ჩამორთმეული აქვს დედობის უფლება. აღნიშნულ რეპორტაჟში ნახსენებია, რომ მისი სამი შვილიდან ორი ბავშვთა სახლში ცხოვრობს, ბავშვების სახეები დაფარულია მაგრამ ნათლად ჩანს ის ბავშვთა სახლი, რომელშიც ისინი ცხოვრობენ.

შემდეგ სიუჟეტებში 57:31 და 1:01:32 წუთებზე შესაძლებელია არასრულწოვანი პირების იდენტიფიცირება.

5 მაისის ,,პოსტ-სკიპტუმის“ გადაცემა იწყება კვლავ დავით გარეჯში მომხდარის განხილვით, და დაშვებულია ზუსტად ის შეცდომები რაც წინა გადაცემის დროს, ნაჩვენებია მესაზღვრეების სახეები და შესაძლებელია მათი იდენტიფიცირება. აღნიშნული მესაზღვრეები ჩანან შემდეგ რეპორტაჟშიც, რომელიც ეხება საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილს, ამასთანავე ნახსენებია მათი რელიგიური რწმენა, მოხსენიებულნი არიან როგორც მუსლიმანები, და გაკრიტიკებულია მათი რელიგიური მრწამსი.

აღნიშნულ გადაცემაში სიუჟეტი არის ბენზინგასამართი სადგურის, ,,ვისოლის“ შესახებ, ვარაუდია გამოთქმული იმის შესახებ, რომ ბიზნესი იყიდება და შესაძლოა იგი რუსმა ბიზნესმენებმა შეისყიდონ. ჟურნალისტებს სურთ ერთ-ერთ მეწილესთან გასაუბრება მაგრამ იგი შეხვედრაზე არ თანხმდება. მიუხედავად ამისა ჟურნალისტები მისულები არიან მის სახლში, და სახლი დაუფარავად არის ნაჩვენები.

შემდეგი სიუჟეტი არის სისლის ბანკებსა და საყოველთაო დაზღვევის შესახებ. სისხლის ბანკებზე გვაფრთხილებენ, რომ სისხლი არ კონტროლდება და გამოქვეყნებულია ევროპელების წერილი, რომელიც კრიტიკულად არის განწყობილი აღნიშნული ფაქტის მიმართ და წერილში არ არის დაფარული მეილი, რომელიც ეკუთვნის გარეშე მესამე პირს. რაც შეეხება სიუჟეტს საყოველთაო დაზღვევაზე იგი იწყება ერთი წლის ბავშვის ჩვენებით. კადრები არის გადაღებული სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც არცერთი პაციენტის სახე არ არის დამალული და მათი ვინაობის დადგენა თავისუფლად არის შესაძლებელი.

,,პოსტ-სკიპტუმის“ 12 მაისის გადაცემა იწყება სიუჟეტით, რომელიც მოგვითხრობ იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილმა ბიტკოინის ქარხანა აფხაზეთში გადაიტანა, აღნიშნულ ქარხანაში გამოიმუშავებენ ბიტკოინებს, რაც მოითხოვს დიდი რაოდენობით ელექტრო ენერგიას, იმის გამო რომ მან დენი მიიღოს უფასოდ, უცვლის ქარხანას ადგილმდებარეობას, 10:10-10:13 წუთებზე კადრი გადადის ბიტკოინის ერთ-ერთ საწარმოზე და მის ეზოში თამაშობს 3 ბავშვი, არცერთი ბავშვის სახე არ არის დაფარული.

შემდეგი სიუჟეტი ეხება დავას კომპანია ,,რაკიინსა“ და ამ კომპანიების ყოფილ დირექტორს შორის(გელა მიქაძე) , რომელიც ერთ დროს ციხეში იჯდა ახლა კი არის საქართველოს პარლამენტის, დეპუტატი.

,,პ.ს-ს“ ხელში ჩაუვარდა კომპანია ,,რაკიინის“ და მისი პარტნიორების საქმიანი მიმოწერა. ამ წერილებიდან ჩანს, რომ მოწინააღმდეგე მხარის დასამარცხებლად ,,რაკიინის“ წარმომადგენლები ზეგავლენას ახდენენ სასამართლოზე, ზეწოლას ახდენენ ოპონენტზე და ცდილობენ მისი რეპუტაციის განადგურებას შავი პიარის დახმარებით. მიმოწერა არის დღევანდელი დირექტორის მიერ დაქრავებულ იურისტებს შორის (ნათია წკეპლაძე, გიორგი გეგეჭკორი, ალექსანდრე იოსელიანი, კოკა ყანდიაშვილი) და ისინი საუბრობენ თუ, როგორ შეიძლება მოიგონ პროცესი.

21:14-21:21, 22:24-22:38, 23:16-23:28 , 23:31-23:39 24:18-24:35 არის ამონარიდები მიმოწერიდან რომლებშიც ჩანს მიმოწერის ფოტოებიც და იმეილებიც.

22:12 წუთზე ჩანს იმეილები: ntskepladze@yahoo.com, g.gegechkri@rakia.e, alekoios@hotmail.com, kakha.tsnobiladze@gmail.com

23:37 წუთზე ჩანს matthew oresman-ის იმელი და სხვადასხვა ქვეყნის მობილურის ნომრები: matthew.oresman@pillsburylaw.com , (us)202.663.8047 , (uk)+44.20.7847.9516,

(us)202.701.7086, (uk)+44.(0)7818.570.178

25:03-25:35 არის სატელეფონო საუბარი კოკა ყანდიაშვილთან, რომელშიც ჟურნალისტი ამბობს მისი მეილის მისამართს და კითხულობს მიმოწერას.

შემდეგი თემა არის ჭიათუარაზე, რომლის ქუჩებში კარცეროგენით დატვირთული მანქანები თავისუფლად გადაადგილდებიან, რაც ყველა მოსახლისთვის ქმნის სიმსივნით დაავადების საფრთხეს. ჭიათურის მერია კი ამაზე საერთოდაც არ რეაგირებს. სიუჟეტია გაკეთებული ჭიათურაში, კადრი არის ქუჩაში სადაც ჩანს ერთ-ერთი სატვირთოს ნომერი 31:26 წუთზე. 21:55 წუთზეც ჩანს ორი სატვირტო მანქანის ნომერი რომლებსაც გადააქვთ კარცეროგენი.

50:53 წუთიდან რეპორტაჟია გაკეთებული 9 მაისის მარშზე რომელიც გამართული იყო მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ჯარისკაცების პატივის მისაგებად. კადრში ჩანს უამრავი ადამიანის სახე, მათ შორის არც ბავშვების სახეები არ არის დაფარული. მარში გამართვის ადგილი არის ქალაქი თბილისი. 51:07-51:49 გაშუქებულია ანალოგიური მარშის არქივი, კადრები არის ცხინვალსა და სოხუმიდან, კადრში ჩანს აქციის მნაწილეთა სახები, 51:55-52:03 ჩანს სოხუმსა და ცხინვალში გამართულ მარშში მონაწლე ბავშვების სახეები. 53:58-56:32 ჩანს აქციაში მონაწილე ხალხის სახეები. 57:26-57:40 არის ინტერვიუ თბილისში, რომლის უკანა ფონზე ჩანს სამართალდამცავების სახეები.

1:00:02 წუთიდან რეპორტაჟია ზუგდიდში, სადაც მერის არჩევნები ჩატარდება მალე და ჟურნალისტებს გარკვევა უნდათ იმის, თუ რა აწუხებს ხალხს, ხოლო მერის კანდიდატები, როგორ შეძლებენ ამ პრობლემის აღმოფხვრას. ზუგდიდში რეპორტაჟის გადაღების დრო 1:03:11 წუთზე ჩანს ორი მცირეწლოვანი ბავშვი ქუჩაში. 1:05:57 წუთზეც ანალოგიური დარღვევაა .

19 მაისის ,,პოსტ-სკიპტუმის“ გადაცემა მთლიანად ეხება საქართველოს მასშტაბით არჩევნებს. მთწამინდის რაიონში ტარდება დეპუტატის არჩევნები, მარნეულში, ჭიათურაში, ზესტაფონსა და ხულოში ტარდება მერის არჩევნები. მოვლენათა ეპიცენტრი კი იყო ზუგდიდში, სადაც ასევე იმართება მერის არჩევნები.

ზუგდიდში ერთ-ერთ უბანზე არჩევნების დროს იმყოფებოდნენ პოლიციელები, რომლებიც იცავდნენ მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოებას. (19:16-19:26 , 20:12-20:23)წუთებზე მათი სახეები ჩანს დაუფარავად. 40:00-40:19 წუთზე ზუგდიდან ჩართვისას ჩანს ორი მანქანის ნომერი. ამ მაქანებში იყო კომუნიკაციის ჩამხშობი მოწყობილობა და ნომრები სპეციალურად არის დაფიქსირებული. ასევე ზუგდიდში მე-9 საარჩევნო უბაზე არ შეუშვეს თინა ბოკუჩავა და პოლიციის ძალის გამოყენებით გაიყვანეს ის შენობიდან. 44:27-47:33 ბოკუჩავასთან ინტერვიუს დროს უკანა ფონზე ჩანან შშს თანამშრომლები. 45:03 წუთზე ბოკუჩავა ამბობს რო ის 10 კაცმა გამოაგდო და მათ შორის იყო ზუგდიდის კრიმიალური პოლიციის ხელმძღვანელი ირაკლი ფაცაცია.

01:42-04:07 წუთზე ზუგდიდში პირდაპირი ჩართვსას ჩანს პოლიციელების სახეები.

34:26-35:03 წუთზე ჩანს, როგორც პოლიციის ასევე მოქალაქეებს სახეები (მარნეული)

40:58-43:47 წუთზე ჟურნალისტი ცდილობს შევიდეს საარჩევნო უბანზე, თუმცა კართან დგას რამდენიმე პოლიციელი და არ უშებს და ამ პოლიციელების სახეები ჩანს.

58:47 წუთზე ჩანს ვინმე თამარის მობილურის ნომერი (591-900-999). თამარი არის ის პირი ვინც გასცემდა აკრედიტაციას ჟურნალისტებისთვის, და ადგენს ვის შეუძლია საარჩევნო უბანზე შესვლა და კადრების მოპოვება.

26 მაისი ,,პოსტ-სკიპტუმის" აქტუალურ თემას წარმოადგენს, ჭიათურაში გაფიცული მაღაროელები.ჭიათურაში გაფიცულმა მაღაროელემა მსვლელობა მოაწყვეს შეძახილით წადი, წადი! სიუჟეტში 29:19 წუთზე არის მაქნანაში მჯდომი პოლიციელის სახე, 29:24-29:30 წუთზე მსვლელობაში მოაწილე ხალხი ჩანს მათ შორის არაინ ბავშვებიც. 29:31 წუთზე კი პოლიციელები და მანქანის ნომრები.

ქართველებმა მოახერხეს ჩიჩხიტურის მონასტრამდე მისვლა და იქ საქართველოს დროჩა აღმართეს.სიუჟეტში 31:42, ქართველი მესაზღვრეების სახეები. 32:09-32:38 წუთებზეც ანალოგიურად. 32:49-32:53 კადრში არიან აზერბაიჯანელი მესაზღვრეები. 36:24-36:52 კადრში არიან ქართველი მესაზღვრეები.

9 ივნისის გადაცემაში კვლავ აქტუალურია ქვეყანაში მიმდინარე არჩევნები. არჩევნების მიმდინარეობა - ამომრჩევლის მოსყიდვა ხელისუფლების მიერ, როგორ აიძულებს ვინმე დავით იმნაძე მოქალაქეს ქართული ოცნების სასარგებლოდ გაეკეთებინა არჩევანი, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ გაავრცელეს ვიდეო და მისი მოთოვნის მიუხედავად კადრში დაუფარავად ჩანს ამომრჩევლის სახე.(5:17-5:39, 6:24-6:42)

შემდეგი რეპორტაჟ ეხება ბავშვებს რომლებიც განიცდიან ძლიერ გაჭირვებას, სიუჟეტში მრავალჯერ ჩანს ჩვილი ბავშვის მკაფიო ფოტოსურათი (39:50-39:54) და არასრულწლოვანის დაუფარავი სახე (45:17-45:20) (45:31-45:33) (46:10-46:12)(46:57-46:58) (47:45-48:27).

16 ივნისი.

საუბარია კრედიტზე, რომლითაც პენსიონერებს პენსიას ართმევენ. ,,ლიბერთი“ ბანკი აიძულებს მოხუცებს აიღონ სესხი. ისე უაქტიურებენ ,,ოვერდრაფტს", რომ პენსიონერებს ამის შესახებ წარმოდგენაც კი არ აქვთ. წარმოდგენილია დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებს, რომ ჯილდოვდება ფილიალი, რომელიც უფრო მეტ ,,ოვერდრაფტს" გააქტიურებს. ყოველივე ეს კი ბიძინა ივანიშვილს მიაწერა და გვეუბნება, რომ ის სწორედ მოხუცების პენსიის მოპარვით შოულობს ამდენ ფულს, კადრში ჩანს ერთ-ერთი პენსიონერის სახალხო ბანკის ბარათის 12 ნიშნა ნომერი (8:58-9:00).

,,ბიძინა ივანიშვილის მოლდოველი ტყუპისცალის ქვეყნიდან გაპარვა“- რეპორტაჟი ტრიალებს მოლდოველი ოლიგარქის ვლადიმირ პლახოტნიუკის გარშემო და აღწერილია მისი წარმოუდგენელი ძალაუფლება. ინტერპოლი დიდი ხნის მანძილზე ცდილობდა მისთვის დანაშაულის დამტკიცებას. კადრში ჩანს წარწერა ,,parlamentul rebublicii moldova", რაც პირდაპირ მიუთითებს შენობის მისამართზე. ნაჩვენებია პირადი დოკუმენტი, რომელიც არის ინტერპოლის საკუთრებაში, (14:42-14:46), ამასთანავე ჩანს მოლდოველი არასრულწლოვანის დაუფარავი სახე (18:06)

20 და 11 წლის დები ავარიაში მოყვნენ, რომელიც 2018 წლის 8 ივლისს მოხდა. უფროსი და საავადმყოფოში გარდაიცვალა. მძღოლი აღმოჩნდა პოლიციელი, რომელსაც ხელს აფარებდნენ. მან ორი დღის შემდეგ დანაშაული აღიარა, მაგრამ ჯერ კიდევ არ დაუკავებიათ. მძღოლი ჯერ კიდევ თავისუფალია. მძღოლის სახელი და გვარი რამოედნიმეჯერ არის ნახსენები სიუჟეტში. ხილვადია საპატრულო ეკიპაჟის მანქანის ნომერი (29:12-29:15)(29:22-29:24) (29:25-29:26) ისევე, როგორც სასწრაფო დახმარების მანქანის (29:18), ვხედავთ გამვლელი ავტომობილების ნომრებსაც (35:01-35:06).

23 ივნისი

ეს არის არასტანდარტული რეპორტაჟი რუსთაველის გამზირიდან, სადაც საზოგადოება აპროტესტებს ძალადობას, რუსულ ოკუპაციას და 20 ივნისს მომხდარ მოვლენებს და მოითხოვს იმ პოლიციელების დასჯას, რომლებმაც მშვიდობიანი აქციის დაშლის მიზნით გამოიყენეს რეზინის ტყვიები, რაც არაერთი ადამიანისთვის არასახარბიელო

შედეგით დასრულდა. ნაჩვენებია ნიკა გვარამიას განცხადება რუსთავი 2-ის ძალადობრივი აღების გეგმასთან დაკავშირებით. ამის შემდეგ ვხედავთ აქციაზე დაშავებულ ასობით ადამიანს, ვხედავთ თუ როგორ ცდილობენ ,,სამართალდამცავები" დაუმიზნონ დარბეულ მოქალაქეებს, ადამიანებს, რომლებიც იბრძოდნენ თავისუფლებისთვის. ინტერვიუები ჩამოართვეს აქციის არაერთ მონაწილეს. სიუჟეტში მკაფიოდ ჩანს საპატრულო ეკიპაჟის მანქანის ნომრები (31:10-31:15)(31:40-31:58), ასევე იქვე მდგომი ავტომობილის ნომერი (31:16-31:23), არ არის დაფარული არასრულწლოვანის სახე (52:48-54:44)(59:13-59:14).

30 ივნისი

20 ივნისის პროტესტის ერთადერთ დარჩენილ მოთხოვნად ასახელებს გახარიას გადადგომას. საუბრობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელებულ თვალზეხელაფარებულ ფოტოებს, რომელთა მიზანი ქართველთა მხარში დგომაა. განიხილავს ლოზუნგის: ,,ნუ მაბრმავებს"-ს მნიშვნელობას, რაც თვალის მხოლოდ ფიზიკურ დაზიანებას არ გულისხმობს. ნაჩვენებია კადრები, რომელშიც დამტკიცებულია, რომ სამართალდამცავები დამიზნებით ისროდნენ, ყოველივე ამას კი ბიძინა ივანიშვილის დაცვის ყოფილი უფროსის დამსახურებაა ნახსენებია აღნიშული პირის სახელი, გვარი და ვიზუალური კადრებიც. მისი ჩარევა კი სრულიად სცილდება კანონის ფარგლებს. ასევე ვხედავთ დაზარალებულ მოსახლეობას და ვიგებთ, რომ ზოგიერთმა მოქალაქემ უკიდურეს ზომებს მიმართა და შიმშილობა გამოაცხადა, იქამდე, სანამ გახარია არ გადადგება. მოყოლილია თავად გიორგი გახარიას ისტორია 2013 წლიდან დღემდე. სწორედ მისი გადაწყვეტილებით სარალიძეს მკვლელი არ დასჯილა, კლუბი ბასიანის დარბევის დროს დაშავებულ მოქალაქეებზეც ისაა პასუხისმგებელი, ისევე, როგორც მარიხუანას ლეგალიზაციაზე. მე-6 სკოლის დირექტორი გახარიას არ დაემორჩილა და უარი თქვა არჩევნების გაყალბებაზე, რის შედეგაც სამსახურიდან დაითხოვეს, მას კი სტრესის ფონზე ინსულტი განუვითარდა. პასუხი არ გაუცია იმაზე თუ რატომ მივიღეთ მშვიდობიანი აქციის შედეგად სამასამდე დაშავებული. ერთ-ერთი პირველი, ვისაც ტყვია მოხვდა საოკუპაციო ზოლიდან ჩამოსული ახალგაზრდა იყო, რომელიც ვერ შეეგუა რუსი ოკუპანტის მიერ საქართველოს მთავრობის წევრის სკამის დაკავებას. ასევე ნაჩვენებია ახალგაზრდა

გოგონა, რომელმაც თვალი დაკარგა. განხილულია ნიკა მელიას დაკავება- არდაკავების საკითხი. პროპორციული არჩევნების ჩატარების შესაძლებლობაზეა საუბარი. ამის შემდეგ კი რეპორტაჟიდან ვიგებთ თუ როგორ გაიზარდა ტურიზმი საქართველოში. ეს კი პუტინის მიერ ფრენების აკრძალვას მოჰყვა. - კადრში ჩანს არასრულწლოვანის დაუფარავი სახე (14:29-14:59)(30:50-30:52)(1:12:24-1:15:26), არ არის დაფარული პოლიციის ეკიპაჟის ნომერი (24:11-24:12) (24:17-24:20). მთელი რეპორტაჟის განმავლობაში დაუფარავად ჩანს სპეცრაზმელების სახეები, მათი იდენტიფიცირება შესაძლებელია თავისუფლად. ამასთან ერთად გამხელილია ერთ-ერთი სპეცრაზმელის ვინაობა, მისი სახელი გვარი, მისამართი, ოჯახის წევრების სახელები და გვარები.

ტელეკომპანია იმედი

განვიხილე ტელეკომპანია იმედის გადაცემის ,,იმედის კვირის“ ის გადაცემები სრულად, რომლებიც ეთერში გავიდა 2019 წლის 7 აპრილიდან, 2019 წლის 30 ივნისის ჩათვლით. იმედის კვირის დანიშნულება დიდად არ განსხვავდება ზემოთ განხილული გადაცემა „პოსტ-სკიპტუმისგან“. მისი მიზანია საზოგადოებას მიაწოდოს ის მთავარი ამბები, რომლებიც კვირის განმავლობაში აქტუალური იყო საზოგადოებისთვის. იგი განიხილავს და აანალზიებს, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე სხვა ქვეყნებში მომხდარს. აუცილებელია, თითოეული გადაცემა და სიუჟეტი იყოს მიუკერძოებელ, ობიექტური და რაც მთავარია არ იყოს დარღვეული ეთიკის ნორმები, ჟურნალისტურ ქარტიაში ჩამოთვლილი პუნქტები და რაც მთავარია დაირღვეს საზოგადოების პირადი ცხოვრება და ინტერესი.

იმედის კვირა 7 აპრილი 2019 წლის

სიუჟეტი ეხება დიღომში დიდ აფეთქებას, რომელიც გამოწვეული იყო გაზის გაჟონვით. დაზარალებულია 21 ოჯახი. კორპუსის ერთი ნაწილი მთლიანად იქნა აფეთქების შედეგად დაზიანებული ისე, რომ ბინები საცხოვრებლად უვარგისი გახდა, სწორედ ამიტომ სახელმწიფომ დააბინავა დაზარელბული ოჯახები, ჟურნალისტის მიერ დასახელებულია მათი დაბინავების ადგილი ეს არის სასტუმრო 444, რომელიც მდებარეობს დიღმის მიმდებარე ტერიტორიაზე. 4:48ზე ჩანს აფეთქების შედეგად

დაზარალებული მამაკაცი ნახევრად შიშველ მდგომარეობაში მისი ვინაობა არ არის დაფარული და შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება.

შემდეგი სიუჟეტი ეხება ბერ გაბრიელს, რომელმაც ფიზიკურ ძალადობაში ამხილა მღვდელები, სიუჟეტი როგორც ჟურნალისტმა ახსენა არის კადრს მიღმა გადაღებული ამ დროს რესპოდენტს აქვს იმის გონივრული ვარაუდი, რომ მის საუბარს არ იწერენ და იგი ვიზულაურადაც არ ჩანს მაგრამ, ჩაწერილია ვიდეოც და კადრებში არ არის რესპოდენტის სახე დაფარული. სიუჟეტში რამოდენიმეჯერ არის ნახსენები ისიც, რომ ისინი კადრებს ფარულად იწერენ. სიუჟეტში გამოქვეყნებულია ბერი გაბრიელის პირადი სატელეფონო საუბარი, სადაც არც საუბრის მონაწილეთა ხმებია შეცვლილი და არც პირადი ინფორმაცია დაფარული. ნახსენებია ვინმე მამა გიორგი, რომელიც არის პეტრე-პავლეს სახელობის ტაძრის წინამძღვარი, რომელიც ასევე ჩაწერილია ფარული ჩანაწერებით. ეს სიუჟეტი მთლიანად კადრს მიღმა კადრებით არის შექმნილი ჟურნალისთებს არ აქვს ის გათვალისწინებული, რომ ამით არღვევენ რესპოდენტების უფლებას. არსებობს გონივრული ეჭვის იმაზე, რომ კადრების გავრცელებით რესპოდენტებს შესაძლოა შეექმნათ პირადი პრობლემები რაც გამოწვეული იქნება ჟურნალისტების სამსახურეობრივი გულგრილობით.

შემდეგი სიუჟეტი ეხება მიხეილ სააკაშვილს და მის 9 წლიან პრეზიდენტობას, სიუჟეტში ნახსენებია 2012 წელს ოპოზიციონერი პოლიტიკოსების პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების ჩაწერის ორგანიზატორი კუდის ყოფილი მაღალჩინოსანი ვასილ ლელუაშვილი, რომელიც სამივე ინსტანციის სასამართლომ დამნაშავედ სცნო. კადრი გადადის სპეცოპერაციაზე მოქმედება ხდება პოლიტიკოსების მანქანებში, დაფიქსირებულია ჩხრეკის და ამოღების ჩამტარებელი სამართალდამცავების სახეები და ის ნივთებიც არ არის დაფარული, რომელიც ჩხრეკის შედეგად იქნა ამოღებული, არ არის დაფარული არც მანქანის სანომრე ნიშნები. კადრებია ამოღებული არქივიდან, საქმე ეხება ბუტა რობაქიძეს და არცერთი სამართალდამცავის სახე არ არის დაფარული. ჩხრეკა და ამოღება ისეთი სამართლებრივი პროცედურაა, რომლის ჩატარებაც სასამართლო განჩინების გარეშე არ შეიძლება იმ შემთხვევის გარდა თუ არ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა. ჩხრეკა და ამოღების კადრების ჩვენებით საზოგადოებას ექმნება იმაზე წარმოდგენა თუ რა ნივთებს მოიხმარდნენ ბრალდებულები და

აღნიშნული ბადებს უპატივცემლობას და ზიზღს საზოგადოებაში. ჟურნალისტები არ ითვალისწინებენ იმას, რომ სასამართლოს პროცესზე ჩხრეკის შედეგად ამღებული ნივთები შესაძლოა საერთოდ არ იქნეს განხილული იმ მიზეზით, რომ პროცესი ჩატარდა სამართლებრივი ნორმების დარღვევით, ან საერთოდ ვერ დადგინდეს ამოღებული ნივთების კავშირი ბრალდებულებთან.

შემდეგი სიუჟეტი ეხება პოლიტპატიმრებს, არ არის მათი ვინაობები დაფარული, ასევე ნაჩვენებია სასამართლოს იმდროინდელი გადაწყვეტილების საბუთები, ექსპერტიზის დასკვნები და სხვადასხვა მტკიცებულებები, აღნიშნულის გამოქვეყნების უფლება არ აქვს არავის. ყინწვისის სპეცოპერაციის დროს აყვანილი პირების საქმეეზე ამბობენ, რომ არის გაყალბებული, შეცვლილია პატიმრების აყვანის ადგილიც და არ არის დამალული ის თუ რა წერია საბუთში. ნაჩვენებია ყინწვისის სპეცოპერაციის ორგანიზატორების ფოტოსურათები.

შემდეგი სიუჟეტში ნაჩვენებია ექსკულიზური კადრები სტამბოლიდან, სადაც სამსონ ქუთათელაძე მოკლეს. დასახელებულია ამ საქმეში ბრალდებულის ვინაობა გიორგი ჭანტურია, შემდეგ არის სათვალვალო კამერის მიერ გადაღებული კადრები სადაც ბრალდებული არის ამოცნობილი და ნაჩვენებია მისი სახე. იგი რამოდენიმეჯერ მოხსენიებულია როგორც მკვლელი, რაც დაუშვებელია. ღიად არის საუბარი სასამართლოს მტკიცებულებებზე და მოწმეებზეც, დასახელებულია მოწმეც ირაკლი თედორაძე. გამქოვეყნებულია აუდიო ჩანაწერი მარიამ ჭანტურიასა და პატრულის თანამშრომელს შორის.

14 აპრილი

სიუჟეტი არის იმდროისთვის სამეგრელოში მომავალი მერობის არჩევნებზე. არჩევნებზე წარდგენილი კანდიდატი არის სანდრა რულოვსი. სიუჟეტში ნახსენებია, რომ მისი მეუღლის მმართველობის დროს სამეგრელო-ზემო სვანეთიდან ქრებოდა ხალხი და მათ ახლობლები უგზოუკვლოდ ეძებდნენ, ნაჩვენებია დაკარგულის ფოტოსურათი. ნაჩვენებია გარდაცვლილი პაატა ქარდავას სურათი, მის მკვლელად კი დასახელებულია კუდის მაღალჩინოსანი რ.შ. სიუჟეტში სახელი და გვარი სრულად არის წარდგენილი. ნაჩვენებია რ.მ. ვიდეოჩანაწერებიც.

შემდეგი სიუჟეტი ეხება თიანეთის მუნიციპალიტეტის მიერ საბავშვო ბაღების მშენებლობისთვის განკუთვნილი თანხის გაფლანგვას. სიუჟეტი იწყება არასრულწლოვანი პირის ჩვენებით, რომლის სახეც არ არის დაფარული. შემდეგი კადრში კი ჩანს საბავშვო ბაღის რამდენიმე აღსაზრდელი. დაუფარავად არის ნაჩვენები საბავშვო ბაღის ადგილმდებარეობა. კადრში ისევ დაუფარავად ჩასნს აღნიშნულ ბაღში, მყოფი ბავშვები. დასახელებულია თანხის გაფლანგვაში დამნაშავე ვინმე მალხაზ ლომსაძე და ზაზა ჩიტაშვილი კორუფციული ბრალდებით.

შემდეგი სიუჟეტი ეხება ქალაქში ავარიების მოხშირება, და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ამობრუნებული მანაქანების სიმბოლურ დამონტაჟებაზეა საუბარი. თავდაპირველად გამოქვეყნებულია ფეისბუქ მიმოწერა ორ პირს შორის ვინაობები დაფარულია, თუმცა კადრი გრძელდება და დასახელებულია ორივე პირი ვის შორისაც იყო აღნიშნული მიმოწერა. აღსანიშნავია ისიც, რომ სიუჟეტში არ არის დაფარული გზაზე მოძრავი მანქანების სანომრე ნიშნები.

შემდეგი სიუჟეტში მოთხრობილია ხანდაზმულთა პანსიონზე, ნაჩვენებია ბაღი სადაც დადიან განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები, სიუჟეტის დასაწყისში დაფარულია ბავშთა სახეები, მაგრამ კადრის გაგრძელების შემდეგ დაუფარავად ჩანს რამოდენიმე არასრულწლოვანი.

21 აპრილი.

გადაცემა იწყება პანკისის ხეობაში მომხდარი ამბების განხილვით. სოფელ ბირკიანში იგემება კიდევ ერთი ჰესის მშენებლობა, რაზეც მოსახლეობამ პროტესტი გამოთქვა, მოსახლეობა კი დაარბიეს სამართალდამცავებმა, გამოყენებული იყო რეზინის ტყვიები, ცრემლსადენი გაზი, ხელკეტები. მოსახლეობის მიერ კი იარაღად გამოყენებული იყო ქვები და ხის ჯოხები. სწორედ ამიტომ დაშავებულია სამართალდამცავების და მოსახლეობის ნაწილი. სიუჟეტში მრავლად არის საპატრულო პოლიციის მანქანის სანომრე ნიშნების დაუფარავად ჩვენება. ამასთან ერთად ნაჩვენებია უშუალოდ სამართალდამცავებსა და მოსახლეობას შორის შეტაკების კადრები, სადაც არ არის არცერთი პირის სახე დაფარული. ჩანს სპეცრაზმელთა სახეებიც რომლებიც

გადაადგილდებიან აღნიშნულ ტერიტორიაზე. კადრი გადადის სამედიცინო დაწესებულებაში, არ არის დაფარული არცერთი დაშავებულის სახე.

შემდეგი სიუჟეტი ეხება ენუქიცის და გირგვლიანის მკვლელობას. ამ საქმეზე ევროპული სასამართლოს დასკვნა არის განხილული. ნაჩვენებია ამონარიდი არქვიდან, კადრში ასახულია აღნიშნულ საქმეზე მოწმის ჩვენება, რომელიც ასახელებს სავარაუდო მკვლელის სახელს და გვარს. ნაჩვენებია კადრები ციხის ტერიოტრიიდან სადაც ნაჩნვებია სტრატეგიული ობიექტები და მეგუშაგეების სახეები.

შემდეგი სიჯეტი ეხება იმ ხალხს, რომელიც ჩასულია საფრანგეთში და საფრანგეთის მთავრობას სთხოვს დახმარებას. ითხოვენ თავშესაფარს, სადაც საქართველოს 80მდე მოქალაქე იმყოფება. სიუჟეტი იწყება არასრულწლოვანი ბავშვის ჩვენებით, რომლის ვინაობა არ არის დაფარული სიუჟეტი გაჯერებულია არასრულწლოვანი პირების საუფარავი სახეებით. ნახსენებია ისიც, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ცხოვრობს 30 ბავშვი და რამოდენიმე ორსული. ნაჩვენებია ფრანგი პოლიციელების სახეები. სიუჟეტის კადრები გადაღებულია აეროპორტში, სადაც ჩანს რამდენიმე პირის პასპორტის მონაცემები.

შემდეგი სიუჟეტი ეხება დებს, რომლებიც არიან საუდის არაბეთიდან მათ ეშინიათ, რომ მათ მისი ოჯახის წევრები იპოვნიან და ჩაქოლავენ, ცოცხლად დაწვავენ ან ჩააქვავებენ. ისინი თავშესაფარს ეძებენ საქართველოში ეძებენ. მიუხედავად იმისა, რომ აშკარაა დების სურვილი, მათ არ უნდათ, რომ ვინმემ იპოვოს ვინც მათ იცნობს, სიუჟეტი იწყება ერთ-ერთი დის პასპორტის ჩვენებით რომელზეც არ არის დაფარული არაფერი. მართალია მისი პასპორტი არ არის ქართულ ენაზე მაგრამ შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება და გაშიფვრა მოახდინონ სხვა პირებმა, რითიც შესაძლებელი იქნება მათი ადგილმდებარეობის დადგენა. დაუფარავად არის იმ გარდაცვლილი პირების სახეებიც ნაჩვენები, რომლებიც საუდის არაბეთის მოქალაქეებს წარმოადგენდნენ და მათ მიერ გავრცელებულ ვიდეოებში ნათლად ჩანდა, რომ არ სურდათ მათი ვინაობის გამჟღავნება.

28 აპრილი

გადაცემა იწყება სიუჟეტით, რომელიც ეხება დავით გარეჯში მომხდარ მოვლენებს, აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა ჩაკეტეს გზა და ქართველ ხალხს ჩაუკეტეს ტაძრის გზა. ჩანს საზღვარი აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის, აღნიშნული ადგილების ტელევიზით ჩვენება არ შეიძლება ვინაიდან იგი წარმოადგენს სტრატეგიულ ადგილებს, ამასთან ერთად ჩანს აზერბაიჯანელი მესაზღვეების სახეებიც, კადრი სპეციალურად არის მიახლოებული მათი სახეების უკეთ დასაფიქსირებლად.

შემდეგი ორი სიუჟეტი ეხება ქრისტიანობას, იმას თუ როგორ აღნიშნავენ ქრისტიანები აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, კადრები არის იერუსალიმსა და ისრაელშია გადაღებული, კადრებში მრავლად არის არასრულწლოვანი პირების სახეები, რომლებიც არ არის დაფარული.

შემდეგი სიუჟეტი ეხება უხუცეს პედაგოგს, რომელიც 94 წლის არის, და იგი დღემდე სკოლაში ასწავლის, კადრები არის გადაღებული სკოლის ტერიტორიაზე, კლასებში, ჩანს მოსწავლეების სახეები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენენ არასრულწლოვან პირებს, ამასთან ერთად ნაჩვენებია სკოლაც და დასახელებულია მისი ადგილმდებარეობა.

5 მაისი

გადაცემა იწყება იმ ამბის მოთხრობით, თუ როგორ მოკლა 85 კაცსმა შვილი რძალი და 2 ნათესავი. დასახელებულია ბრალდებული პირი ომარ გამყრელიძე. უდანაშაულობის პრეზუმციის მიხედვით ბრალდებული ითვლება უდანაშაულოდ საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე. მიუხედავად ამისა, იგი მოხსენიებულია მკვლელად და დეტალებშია ის მოთხრობილი თუ რა ვითარებაში და როგორ მოკლა მან ოთხი ადამიანი. ნაჩვენებია დანაშაულის ადგილიც. გამოთქმულია ის ვარაუდიც რომ ბრალდებული უდანაშაულოა და არსებობს სხვა პირი, რომელმაც ჩაიდინა აღნიშნული დანაშაული, მიუხედავად ამისა ომარ გამყრელიძეს იმედის კვირის ჟურნალისტები მოიხსენიებენ კრიმინალად და ამბობენ, რომ იგი რამოდენიმეჯერ არის ნასამართლევი, ეს ყველაფერი საზოგადოებაში იმის მოლოდინს ამაღლებს და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ შესაძლო უდანაშაულო პირი უეჭველად დამნაშავეა. ნაჩვენებია ბრალდებულის სახლიც. ზურაბ

ბერიკაშვილი, რომელიც არის კახეთის პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე პირდაპირ ამბობს, რომ დანაშაულის ადგილიდან აყვანილია დანაშაულის ჩამდენი პირი, მაგრამ მას იმის დამტკიცება, რომ აღნიშნული ნამდვილად დანაშაულის ჩამდენი პირია არ შეუძლია.

შემდეგი სიუჟეტი ეხება ქალს, რომელიც რუსეთიდან საქართველოში 10 ბავშვით ჩამოვიდა, და გეგმავდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადასვლას. ახლა ის რუსთავში ქალთა დაწესებულებაშია და სასამართლოს ელოდება. დასახელებულია ქალის ვინაობა იულია სუსლიაკი, აღნიშნული პირს ბრალად ედება ბავშვებით ვაჭრობა. ნაჩვენებია ბრალდება დაკავების და პირადი ჩხრეკის ოქმი, დაფარულია იულია სუსლიაკის სახე მისი დაკავების მომენტში მაგრამ მთელი სიჯეტის განმავლობაში ნაჩვენებია კადრები სადაც თავისუფლადაა შესაძლებელი მისი იდენტიფიცირება. ნაჩვენებია სუროგაციის სააგენტოში გაფორმებული ხელშეკრულებებიც. დანარჩენ სიუჟეტებში რომლებიც სხვადასხვა თემებს შეეხება შეგვიძლია მხოლოდ ის ვთქვათ, რომ ნაჩვენებია არასრულწლოვანი პირის სახეები დაუფარავად.

იმედის კვირა 12 მაისი

იმედის კვირის ერთ-ერთი რეპორტაჟი მოგვითხრობს მუქარის შემცველ საჯარო განცხადებებზე. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გაავრცელა ფარული ჩანაწერები, რომელშიც მალხაზ მაჩალიკაშვილი ძმისშვილს კონკრეტულ დავალებას აძლევს, გააკონტროლოს სუს-ის ყოფილი მაღალჩინოსნის მამა. იმედის კვირის ეთერში გამოქვეყნებულია პირადი სატელეფონო საუბარი მალხაზ მაჩალიკაშვილსა და ბორის (ჰუსეინ) მაჩალიკაშვილს შორის. საუბარში ნახსენებია რამდენიმე პირის ვინაობაც. ნაჩვენებია სუს-ის უფროსის ყოფილი მოადგილის გოგაშვილი კლიმენტის სასაფლაო, რომელიც კახეთში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის, სოფელ ზემო მაჩხაანში მდებარეობს. მალხაზ მაჩალიკაშვილი მოხსენიებულია ტერორისტად. სიუჟეტში გაჟღერებულია აღნიშნული პირის მიმართ ბრალდებები და საზოგადოებას უქმნიან იმ შთაბეჭდილებას, რომ არავინ არ იცის მაჩალიკაშვილი როდის ვერ მოთოკავს თავს და შეასრულებს ტერორისტულ მუქარებს, რომ მათი ასრულება რეალობას შეესაბამება. ამით ისინი საზოგადოებას წნასწარ განწყობას უქმნიან. სამომავლოდ რომ მოხდეს

მსგავსი ქმედება პირველი ეჭვმიტანილი მაჩალიკაშვილი იქნება საზოგადოება კი დარწმუნებული იქნება მის ბრალეულობაში. სიუჟეტში გამოქვეყნებულია სხვადასხვა პირების პირადი ნომრები, გამოქვეყნებულია მიმოწერა თ.მ.-სა და ახალგაზრდა გოგონას შორის. გამოქვეყნებულია თემირლან მაჩალიკაშვილის ახლო ნათესავების სახელები, გვარები და ფოტოსურატები. გამოქვეყნებულია მათი ოჯახის უცხო ქვეყნებში გზავნილების ისტორიაც, დასახელებულია მათი ვინაობებიც ვინც იღებდა აღნიშნულ გზავნილებს.

შემდეგ შიუჟეტში მოთხრობილია ის თუ როგორ ყიდდნენ სოციალური ქსელით კონკრეტული პირები ნარკოტიკულ საშუალებებს, რაც აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით. დასახელებულია ის 7 წევრი რომელიც, სამართალდამცავ ორგანოს აღნიშნული ბრალდებით ჰყავს დაკავებული. გამოქვეყნებულია აღიარებითი ჩვენებები, მსგავსი საბუთების გამოქვეყნების უფლება მაუწყებელს არ აქვს, შესაძლებელია სასამართლო პროცესის მსვლელობისას აღნიშნული აღიარება სასამართლომ არაკანონიერად სცნოს და არ მიიღოს განხილვაში, მაგრამ საზოგადოებას რომელსაც ტელეიმედის მეშვეობით უკვე ნანახი აქვს ზემოთქმული აღიარებები მყარად აქვს გაჯერებული მის აზროვნებაში, რომ პირები დამნაშავეები არიან. ნაჩვენებია ბრალდებულის საცხოვრებელი კორპუსები და ბინები.

სიუჟეტი ეხება საქართველოში ახლად შემოღებულ მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტს, რომელთა მიზანია შეამცირონ მძიმე დანაშაულები, ოჯახში ძალადობა, არასრულწლოვნებზე ძალადობა და მათი ჩაგვრა, ნახსენებია ისიც რომ ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია სკოლის მოსწავლეებისათვის. აღნიშნული სიუჟეტი გაჯერებულია ისეთი კადრებით სადაც დაუფარავად ჩანს არასრულწლოვანი პირების სახეები, ნაჩვენებია სკოლა და სკოლის მოსწავლეები, ჩაწერილია ინტერვიუები სკოლის მოსწავლეებთანაც და არ არის არსად მითითებული ის, რომ აღნიშული კადრების გავრცელებაზე ჰქონდათ მშობლების თანხმობა.

19 მაისი

,,იმედის კვირის“ 19 მაისი არის საარჩევნო გადაცემა, ვინაიდან ამ პერიოდში საქართველოს მასშტაბით ტარდება არჩევნები ეს რეგიონებია: ზუგდიდი, ჭიათურა,

ოზურგეთი, ახმეტა, ზესტაფონი, მარნეული, ხულო. გადაცემა ძირითადად შედგება სხვადასხვა რეგიონებიდან, საარჩევნო უბნებიდან, ჟურნალისტების პირდაპირი ჩარტვებისგან. გამოქვეყნებულია ნაცმოძრაობის სხდომის მიმდინარეობის აუდიო ცანაწერი, სადაც საუბარია „ორი ქალაქის ადუღებაზე“. აუდიო ჩანაწერზე დართულია იმ პირების ვინაობა და ფოტოსურათები ვინც მონაწილეობენ საუბარში. კადრებში ჩანს ზუგდიდის საარჩევნო ოლქში არეულობა, რომელშივ ჩანან არეულობის მონაწილეები და სამართალდამცავები. ნაჩვენებია ზუგდიდის ერთ-ერთი საარჩევნო უბნის კადრები სადაც თამარ ბოკუჩავა სამართალდამცავების მიერ ძალით გამოიყვანეს ზუგდიდის მე-9 საარჩევნო ოლქიდან, ჩანს მისი ტელეფონის ნომერი და სამართალდამცავთა სახეები არ არის დაფარული მათ შორის არიან შსს-ს წარმომადგენლები.

იმედის კვირა 26 მაისი

26 მაისი საქართველოსთვის განსაკუთრებული დღეა, ამ დღეს ქვეყნის დამოუკიდებლობას ზეიმობს მთელი ქვეყანა შესაბამისად სიუჟეტიც იწყება აღნიშნულზე საუბრით, ნაჩვენებია კადრები არქივიდან და გვახსენებენ იმ საზარელ კადრებს, სადაც 26 მაისის ღამეს სასტიკად იქნა მშვიდობიანი მოსახლეობა დარებული და დაკავებული. ამის შემდეგ თემა კვლავ პოლიტიკას შეეხება და ხდება პოლიტიკური ანალიზი, რესპოდენტები არიან სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც გამოთვამენ საკუთარ აზრს დღესდღეობით ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე. აღნიშნულ სიუჟეტში მრავლად არის კადრები სადაც ჩანან არასრულწლოვანი პირები და მათი სახეები არ არის დაფარული.

შემდეგი სიუჟეტი ეხება დავით გარეჯს სადაც სიტუაცია კვლავ დაძაბულია ქართველ და აზერბაიჯანელ მესაზღვრეებს შორის, ეს თემა რამდენჯერმე არის განხილული, არა მარტო ,,იმედის“ არამედ ,,რუსთავი 2“-ის მიერაც, ყოველ სიუჟეტში დაშვებულია ერთი და იგივე შეცდომა, არცერთ კადრში არ ფარავენ არც აზერბაიჯანელი და არც ქართველი მესაზღვრეების სახეებს, ასევე კარგად ჩანს საზღვარი აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის, ქვეყნებს შორის საზღვარი წარმოადგენს სტრატეგიულ ობიექტს და მისი ჩვენება ტელევიზიით არ არის დასაშვები.

მომდევნო სიუჟეტები ეხებოდა საქართველოს კულტურას და მის განვითარებას და გავრცელებას ქვეყნის გარეთ. ხსენებულ სიუჟეტებში მრავლად იყო უცხოელი არასრულწლოვანი პირების დაუფარავი სახეები.

იმედის კვირა 2 ივნისი

გადაცემა იწყება ჟურნალისტური გამოძიებით, რომელშიც მიხეილ სააკაშვილს ბრალი ედება კორუფციაში და მიგნებულია მისი სახლი მაიამის ფეშენებულ უბანში. იმის დასადასტურებლად, რომ აღნიშნული ბინა ნამდვილად ეკუთვნის საქართველოს მესამე პრეზიდენტს გამოქვეყნებულია სატელეფონო საუბარი ქეთი და თემურ ალასანიებს შორის. ბინის შიდა ინტერიერის აღსაწერად კი გასაჯაროებულია მიხეილ სააკაშვილის და თემურ ალასანიას პირადი სატელეფონო საუბარი. იმის დასამტკიცებლად, რომ თემურ ალასანიას ცუდი დამოკიდებულება აქვს სანდრა რულოვსის მიმართ გამოქვეყნებულია გიული ალასანიასა და თემურ ალასანიას შორის პირადი სატელეფონო საუბარი.

სიუჟეტი ეხება ავსტრიელ შეფ მზარეულს, რომელიც ქველმოქმედების მიზნით ჩამოვიდა საქართველოში და იგი იმ ხალხთან მიდის და ეხმარება ვისაც ეს სჭირდება. 1 ივნისს აღინიშნება ბავშვთა დაცვის დღე, სიუჟეტიც ორინეტირებულია ბავშვებზე, სწორედ ამიტომ სიუჟეტში ჩანს ძეგვის თავშესაფარში მცხოვრბი ბავშთა სახეები. აღნიშნულ თავშესაფარში ძირითადად განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები და შშმ პირები არია.

16 ივნისი

,,იმედის კვირის“ გადაცემა იწყება ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის საქმეზე, რომელიც 13 წლის წინ მოხდა. სიუჟეტს ჰქვია ,,აღიარება 13 წლის შემდეგ“, რაც მიგვითითებს იმაზე, რომ გამჟღავნებული იქნება აღნიშნულ საქმეზე დღემდე საზოგადოებისთვის უცნობი ინფორმაცია. აღიარების მთაბარი ობიექტი არის, გიორგი ჩიქოვანი, აჭარის კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების განყოფილების ოპერატიული თანამშრომელი, ეთერში გამოქვეყნებულია მისი ვიდეო ჩანაწერი სადაც საუბრობს, ბადრი პატარკაციშვილის ლიკვიდაციაზე. დასახელებულია აჭარის კუდის 13 წლის წინანდელი უფროსის ვინაობა, თეიმურაზ

პატარიძე და მეორე სამმართველოს უფროსი გიორგი დგებუაძე, რომლმებმაც ჩიქოვანს ბადრი პატარკაციშვილის საქმე დაავალეს. დასახელებულია ვინმე ლევან ქარდავაც, რომელსაც 13 წლის წინ სამართალდამცავ ორგანოში საპატიო თანამდებობა ეკავა. ჩიქოვანის ვიდეომიმართვაში რეალურად გამჟღავნებულია ის საიუდუმლო ოპერაციები, რომლებიც წარმოადგენს პროკურატურის საიდუმლოებას და მისი გამჟღავნება მითუმეტეს მოქმედი პირების ვინაობების გამჟღავნებით დაუშვებელიაა. ადგენდნენ ბადრი პატარკაციშვილის მოძრაობის მარშრუტს, დაცვის წევრების რაოდენობას, მათ შეიარაღებას. ამ ყველა ღონისძიების ორგანიზებას კი გიორგი დგებუაძე ე.წ. მასტერა ხელმძღვანელობდა. ყველა ეს სპეცოპერაცია კი დათა ახალაიას ბრძანებით იყო შესრულებული. ნაჩვენებია ჯემალ შამათავა, ურეკის პოლიციის ყოფილი უფროსი, რომელმაც ჩაშალა აღნიშნული სპეცოპერაცია იმის შიშით, რომ არ იყო მიმართული მხოლოდ ბადრი პატარკაციშვილის შეშინებისკენ და ამას შესაძლოა კოლოსალური შედეგებიც კი მოჰყოლოდა. სიუჟეტში გამოქვეყნებულია პირადი სატელეფონო საუბარი გიორგი დგებუაძესა და ბადრი პატარკაციშვილის დაცვის უფროსს შორის. გამოქვეყნებულია ასევე ფარული აუდიო ჩანაწერი, რომელშიც დასახელებულია პირების ვინაობები და ფოტოსურათები, ესენი არიან: გიორგი დგებუაძე, რევაზ შიუკაშვილი, ლევან ქარდავა, გიორგი მერაბაშვილი.

შემდეგი სიუჟეტი ეხება ირაკლი ოქრუაშვილის პოლიტიკაში დაბურნებას. იგი ელოდება არჩევნებს, არჩევნების შედეგად თუ ისინი ვერ მოხვდებიან პარლამენტში აპირებენ რევოლუციას. ირაკლი ოქრუაშვილის მიერ შექმნილ პარტიაში არის გუბაზ სანიკიძეც, სიუჟეტში კი გამოქვეყნებულია გუბაზ სანიკიძის ფარული აუდიო ჩანაწერი.

23 ივნისი

2019 წლის 20 ივნისს რუსეთის დეპუტატი სერგეი გავრილოვი, მოწვეული იქნა საქართველოში საპარლამენტთაშორისო მართმადიდებული ასამბლეაზე, რომელიც ტარდებოდა საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში. სერგეი გავრილოვი იყო ის პირი, რომელსაც მიჰყავდა აღნიშნული კრება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სკამიდან. ეს ყველაფერი გააშუქდა ტელევიზიებით, საზოგადოებას პროტესტი გაუჩნდა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით და გამართეს მშვიდობიანი

აქცია საქართველოს პარლამენტის წინ. აქციის მიმდინარეობისას მოვლენები დაიძაბა აქციის დემონსტრანტების ნაწილმა სცადა პარლამენტში შტურმით შესვლა, რასაც მოჰყვა აქციის დარბევა. დაშავდა, და დასახიჩრდა რამდენიმე ადამიანი. აქციები დღემდე მიმდინარეობს თავდაპირვლეად მათ ჰქონდათ სამი მოთხოვნა ესენი იყო: 1. საარჩევნო სისტემის შეცვლა პროპორციული არჩევნებით 2. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი გახარიის გადადგომა 3. აქციის დარბევის დროს დაკავებული ყველა დემონსტრანტის გამოშვება. აღნიშნული მოთხოვნებიდან ორი დაკმაყოფილდა, დემონსტრანტები კი დღემდე ითხოვენ შსს მინისტრის გიორგი გახარიას გადადგომას. იმედის კვირის 23 ივნისის იმედის კვირა განიხილავს აღნიშნულ ვითარებას საქართველოში. იმედის კვირას განხილული აქვს სწორედ ის კადრები, რომელშიც ჩანს თუ როგორ ცდილობენ აქციის მონაწილეები პარლამენტში შესვლას, შესაბამისად ნათელია, რომ იმ დროს რუსთაველის მოედანზე მრავლად იყვნენ სამართალდამცავი პირები. სიუჟეტი ნაწილობრივ პირდაპირ ეთერში მიმდინარეობს და ნაწილობრივ არის დამონტაჟებული კადრებიც. არცერთი სამართალდამცავის სახე არ არის დაფარული, შესაბამისად მარტივია მათი იდენტიფიცირება. კადრებში ჩანს აქციის მონაწილეების დაკავების კადრები, რომელთა შორის იყვნენ არასრულწლოვნებიც და არ არის დაკავებული პირების სახეები დაფარული. დარბევის დროს დაშავდნენ არა მარტო დემონსტრანტები, არამედ სამართალდამცავებიც, კადრებში ნათლად ჩანს დაშავებული სპედანიშნულების რაზმის წარმომადგენლები და სხვა სამართალდამცავები. კადრები არის გადაღებული სამედიცინო დაწესებულებებშიც, რომელშიც სასწრაფო დახმარების მანქანებით გადაიყვანეს აქციაზე დაშავებულები, საავდმყოფოს კადრებში არ არის არც აქციაზე დაშავებული პირების და არც სხვა პაციენტების სახეები დაფარული. დასახელებულია სამი პირი: ირაკლი ხვადაგიანი, ცოდნე ცხვეტიანი და იოსებ თხელიძე. ისინი საქართველოს სააპელაციო სასამართლომ სამართალდამრღვევებად ცნო. სასამართლოს გადაწყვეტილებით მათ შეეფარდათ სამი დრე-ღამით ადმინისტრაციული სახდელი.

გადაცემაში განხილულია იგივე თემა რაც წინა კვირის ,,იმედის კვირაში“ იყო განხილული, მიხეილ სააკაშვილის ქონება მაიამის მდიდრულ უბანში. გამოქვეყნეუბლია იგივე სატელეფონო საუბრები თემურ და ქეთი ალასანიას შორის.

30 ივნისი

გადაცემა იწყება ნიკა მელიას საქმის განხილვით. მას ბრალად ედება სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, რაც დასჯადია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით. მეორდება 21 მაისის აქციის დაშლის კადრები და ნათლად ჩანს სპეცრაზმელების, სამართალდამცავების თუ დაკავებული აქციის მონაწილეების სახეები. ნაჩვენებია კადრები არქივიდან, რომლებიც გადმოსცემენ იმას თუ როგორ არბევდა ნაციონალური მოძრაობა ქართველ ხალხს მაშინ, როდესაც ის საქართველოს მმართველ ძალას წარმოადგენდა. სიუჟეტში არის ინტერვიუები, რომლებიც ჩაწერილია დაზარალებულ აქციის მონაწილებთან. ისინი ყვებიან იმ ვითარებაზე რაც ხდებოდა აქციის დარბევის დროს, ნაჩვენებია მათი ჭრილობები, და გაშუქებულია მათი დაშავების მომენტები. სიუჟეტში რეგულარულად მეორდება ხალხის პარლამენტში შეჭრის მცდელობის და მათი დარბევის კადრები, არსად დაფარული არ არის აქტივისიტების თუ სამართალდამცავების სახეები. ნაჩვენებია ის კადრებიც თუ როგორ ძალადობენ დაჯგუფებული შსს-ს თანამშრომლები ერთეულ მშვიდობიან მოსახლეობაზე, და როგორ აყენებენ მათ ფიზიკურ შეურაცხყოფას.

შემდეგი სიუჟეტი ეხება მაგდა პაპიძეს. მაგდა პაპიძეს სასამართლომ უვადო პატიმრობა მიუსაჯა. იგი სასჯელს იხდის ქმრის და შვილის მკვლელობისთვის. მის საქმეს განიხილავდა ნაფიცმსაჯულთა სასამართლო. მაგდა პაპიძე ღიად საუბრობს მომხდარზე. სიუჟეტში ნაჩვენებია ექსპერტიზის დასკვნა ომარ ქაფიაშვილია მკვლელობის შესახებ. ნაჩვენებია ქაფიაშვილის საცხოვრებელი კორპუსი და ბინა. გამოქვეყნებულია ომარ ქაფიაშვილის დედის, ლილი მინდიკაურისა, საქმის მოწმის ალა მარქაროვის, მაგდა პაპიძის დედის, ლიანა შამუგიას, ლანა პაპიძის, ჩვენებები.

დასკვნა

სამთვიან პერიოდში, რომელშიც შევისწავლე ,,რუსთავი 2“-ის და ტელეკომპანია ,,იმედის“ კვირის შემაჯამებელი გადაცემები (,,P.S და ,,იმედის კვირა), თითოეულ გადაცემაში იყო სულ მცირე 2-3 დარღვევა მაინც. გამოდის, რომ ჯამში 24 გადაცემის განმავლობაში (თითოეულში საშუალოდ 7-8 სიუჟეტი), არ ყოფილა შემთხვევა, რომ სრულად ყოფილიყო დაცული პერსონალური მონაცემების გავრცელების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები.

გაცილებით მეტ დარღვევას მივიღებდით, კვირის შემაჯამებელი გადაცემების მაგივრად საინფომაციო გამოშვებები, რომ განმეხილა, რადგან ,,ნიუსის“ ბუნებიდან გამომდინარე, აქცენტი კეთდება სწრაფად გავრცელებაზე, რომლის დროსაც ხშირად ირღვევა პერსონალურ მონაცემების გავრცელების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები.

საკითხის შესწავლისას პასუხი გაეცა საკვლევ კითხვებს, ირღვევა თუ არა პერსონალური ინფორმაციის გავრცელების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები და რა ფორმით? ქართულ ტელემედიაში აქტიურად ირღვევა პირადი ინფორაციის გავრცელების სტანდარტები, ხოლო დარღვევების ბუნება იყო სხვადასხვაგვარი.

რაც შეეხება კონკრეტულად დარღვევების ბუნებასა და შინაარსს, აქაც საკმაოდ მრავალფეროვნება გვაქვს. ძირითადად , რაც ყველა გადაცემაში იყო, აჩვენებდნენ არასრულწლოვნის სახეს, მშობლის ნებართვის გარეშე, შესაძლებელი იყო მათი იდენტიფიცირება. იმ შემთხვევაში კი, როდესაც სახე დაფარული იყო, სიუჟეტში ჩანდა მათი საცხოვრებელი, სკოლა, მეზობლები და ა.შ.

მეორე დამახასიათებელი შეცდომა იყო უნებართვოდ გადაღება, როდესაც რესპონდენტი ითხოვს გაწიონ კამერა და ამ დროს აახლოვებენ კადრს და მკაფიოდ გვაჩვენებენ მის სახეს. ასეთი რამდენიმე შემთხვევა იყო, თუმცა, ყველაზე მძაფრად მაინც დავით გარეჯის შესახებ გაკეთებულ სიუჟეტებში იჩენდა თავს, როდესაც აზერბაიჯანელი მესაზღვრეების მოთხოვნის მიუხედავად მკაფიოდ გვაჩვენებდნენ მათ სახეებს.

შემდეგი დარღვევა იყო ტელეკომპანია ,,იმედის“ მხრიდან, როდესაც ისინი სწავლობდნენ მიხეილ სააკაშვილის ქონებას ამერიკაში, აქტიურად იყენებდნენ თემურ ალასანიას სატელეფონო საუბრებს, რომლის გამოყენებაც დაუშვებელია, რადგან ის პირად ინფორმაციას შეიცავს თავიდან ბოლომდე.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დარღვევა დაფიქსირდა 23 ივნისის გადაცემებში, რომელიც მთლიანად 20 ივნისს საქართველოს პარლამენტის წინ განვითარებულ მოვლენებს ეხებოდა. სიუჟეტებში ნაჩვენები იყო სპეცრაზმელების სახეები, რომელსაც თან ახლდა კონტექსტი, რომ ესენი სწორედ ის ხალხია, რომელიც საკუთარ თანამოქალაქეებს 20 ივნისის აქციის დაშლისას, დამიზნებით ესროდა თვალში რეზინის ტყვიებს. ასევე ამ გადაცემებში, აქტიურად აჩვენებდნენ დაზარალებულ ადამიანებს, რომლებსაც სისხლი სდიოდათ, ზოგს თავიდან, ზოგს თვალიდან, ზოგსაც სხეულის სხვადასხვა ნაწილიდან.

კვლევის პროცესში დადასტურდა თავდაპირველად ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ქართულ ტელემედიაში მეტწილად არ ხდება პირადი ინფორმაციის დაცვა, ხშირად ირღვევა პერსონალური მონაცემების გავრცელების საერთაშორისო სტანდარტები.

დარღვევების ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, რომელიც მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს პეროსონალური მონაცემების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების დაცვას.

რეკომენდაციები:

- დაიცავით არასრულწლოვანი ადამიანის უფლებები. არ აჩვენოთ გაჭირვებული, გაუსაძლის მდოგმარეობაში მყოფი ბავშვების სახეები. მათი კადრებში გამოჩენა უნდა მოხდეს, მხოლოდ შინაარსის განსაზღვრის შემდეგ, რათა მომავალში, არ შეუქმნას მათ დისკომფორტი და არ მიაყენოს გამოუსწორებელი ზიანი.

- არ აჩვენოთ რესპონდენტის სახე, როდესაც ის კამერის გამორთვას ითხოვს და მალავს თავის ვინაობას. ერთადერთი დაშვება აქ შეიძლება იყოს საზოგადოების მაღალი ინტერესი, ისიც მხოლოდ იმის ფონზე, რომ არ შეილახოს რესპონდენტის უფლებები.

- არ გაასაჯაროოთ პირადი სატელეფონო თუ ინტერნეტ მიმოწერები, რადგან ეს მთლიანად პერსონალური მონაცემების შემცველია.

- დაიცავით უდანაშაულობის პრეზუმფცია, ნუ აჩვენებთ ადამიანის სახეებს იმ კონტექსტში, რომე ისინი სავარაოდოდ დამნაშავეები არიან, რადგან სულ რომ გაამართლოს სასამართლომ, ისინი მაინც დამნაშავეებად დარჩებიან საზოგადოების თვალში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Media and the Protection of Personal Data - Lidija Koman Perenič and the Information Commissioner of the Republic of Slovenia
2. Data protection and journalism: e guide for the media – Information Commissioner's office (ICO)
3. Unveiling the coverage patterns of newspapers on the personal data protection act - Hui Na Chua a, Siew FanWong a, Younghoon Chang b,∗, Christian Fernando Libaque-Saenz cUnveiling
4. Baran, S. J., & Davis, D. K. (2009). Mass communication theory: Foundations, ferment and future (5th ed.). Boston, USA: Wadsworth Cengage learning
5. Do consumers want to control their personal data? Empirical evidence - Christine Prince Department of Marketing, ISG International Business School, Paris, France
6. EU General Data Protection Regulation: Changes and implications for personal data -collecting companies - Christina Tikkinen-Piri, Anna Rohunen *, Jouni Markkula
7. A Study on the Lack of Enforcement of Data Protection Acts - Thorben Burghardt1, Klemens B• ohm1, Erik Buchmann1, J• urgen K• uhling2, and Anastasios Sivridis2 1 Universit• at Karlsruhe (TH), 76131 Karlsruhe, Germany
8. European data protection framework for the 21st century. -European Union Agency for Fundamental Rights & Council of Europe. Handbook on European data protection law.
9. Advisory Committee on Automated Personal Data Systems. Chapter IV: Recommended Safeguards for Administrative Personal Data Systems; 1973.
10. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი
11. დევიდ მიქელსონი და ტონი ლ. გრიფინი, 2005 –"კონტენტ ანალიზის ახალი მოდელი", საზოგადოებასთან ურთიერთობის ინსტიტუტი (რიდერი; თარგმანი: მარიამ გერსამია, სრული პროფესორი)
12. საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.

Ivane Javakshishvili Tbilisi State University

Ivane Mtchedlishvili

Personal data protection in Georgian television media

Mass Communications and Media Research

The Thesis Submitted in partial fulfillment of the requirements for the degree of Master of Mass Communication and Media Study

Under the direction of Maia Toradze

Associate Professor

Tbilisi
2019